საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 18 იანვარი, 2014 წელი.

№11 (7392)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცეა, ფცეულებით და ჯორებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ქვეყანას მეცნიერების გარეშე დარჩენა ემუქრება?

③

რატომ აპირებდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების დამთავრებამდე დატოვებას?

პარლამენტარები ბიუჯეტს ყვლეფენ!

④

როგორ ებრძოდნენ ნაციონალები კერძო ბიზნესს

②

როგორ იპარავდა მიშა გაზს

⑤

თუ თანხის მოცემას გადამივადებთ, მაშინ სიკვდილიც გადამივადეთ!..

⑤

საქართველო და პირველი მსოფლიო ომი

ისტორიის ნაკლებად ცნობილი ფურცლები

⑥-⑦

⑨

თინას მორალი

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფლაცია

მთავრობა გაქცეულ ლარს ვეღარ ეწევა

ლარმა მორიგი ანტირეკორდი დაამყარა და 3-წლიან მაქსიმუმს უწია. მთავრობის პროგნოზი რეალობას არ ემთხვევა. მოსახლეობა შეშფოთებული ადევნებს თვალს ეროვნული ვალუტის თავქვე დაქანებას.

ლარი აშშ დოლართან მიმართებაში კიდევ 39 პუნქტით გაუფასურდა და 1.7572 ნიშნულზე შეჩერდა. ასეთი „დაბალი ფასი“ ლარს 2011 წლის თებერვლის შემდეგ აღარ ჰქონია. ერთი წლის განმავლობაში ქართული ვალუტა უკვე თითქმის 6%-ით გაუფასურდა.

იმ დროს, როცა ეროვნული ვალუტა დიდი სისწრაფით ქვემოთ მოექანება, საქართველოს მთავრობის წევრები სრულიად შეუსაბამო განცხადებებს აკეთებენ: „ლარის კურსი დასტაბილურდა და ბოლო დღეების განმავლობაში, დოლარის კურსის შემცირების ტენდენციაც შეინიშნება“, — განაცხადა ორი დღის წინათ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და დასძინა, რომ ეროვნული ბანკი ლარის კურსის სტაბილურობის შესანარჩუნებლად გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს.

„პროცესი დასტაბილურდება და არანაირ გართულებას ადგილი არ ექნება. ვფიქრობ, ეს კურსი არის ახალი წონასწორული კურსი და ეკონომიკური პროცესები ამით არათუ არ შეფერხდება, პირიქით, შესაძლოა, დაჩქარდეს კიდეც“, - მოჰყვა თავდაჯერებულ მტკიცებას ფინანსთა მინისტრი, თუმცა, ამ განცხადებისთანავე ლარი ისევ თავდაღმა დაეშვა.

ეროვნული ვალუტის დევალვაციის ფონზე თბილისის ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში დოლარზე მოთხოვნის დაახლოებით 20-30%-ით ზრდაზე საუბრობენ, თუმცა, ზოგადად, მოთხოვნას სტაბილურს უწოდებენ. მოსახლეობის განსაკუთრებული აქტიურობა არ შეიმჩნევა, თუმცა, ეს ჯერჯერობით სადღესასწაულო დღეებს ბრალდება. საქმე ისაა, რომ ახალი წლის დღესასწაულების შემდეგ მოსახლეობას ეროვნული ვალუტის ჭარბი რაოდენობა აღარ აქვს, რომ დოლარში გადაცვალოს და ის ფაქტი, რომ ლარის კურსის 1.75-იანი ნიშნულის გადალახვის შემდეგაც დოლარზე მოთხოვნა არ გაზრდილა, სწორედ ლარის სიმცირეს უკავშირდება.

ახალი წლის წინა პერიოდს და მოსახლეობაში ლარის სიმცირეს უკავშირებს დოლარზე მოთხოვნის სტაბილურობას ექსპერტი სოსო არჩვაძეც. მისი თქმით, ამის ერთერთი მიზეზი მოსახლეობისგან ფულადი მასის გადინებაა და ადამიანებს დაგროვებული ლარის სახით ფული, უბრალოდ, აღარ დარჩათ.

ექსპერტის თქმით, ახალ წელს საჩუქრებისა და საკვები პროდუქტების შეძენის მიზნით დიდი რაოდენობის ფულადი მასის გადინება მოხდა, თან ამ პერიოდში გარკვეული პროდუქტები ფასნამატით იყიდებოდა. შედარებით მეტი ფული მოსახლეობას იანვრის ბოლოს გაუჩნდება და სწორედ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი იმის განსაზღვრა, თუ რამდენად გაიზარდა დოლარზე მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის პირველ ნახევარში, ეროვნულმა ბანკმა ლარის კურსის გამყარების მიზნით - 550 000 000 დოლარი იყიდა, წლის მეორე ნახევარში კი 220 000 000 ამერიკული დოლარი გაყიდა. დამატებით კიდევ გაიყიდა 60 000 000 დოლარი 2014 წლის იანვარში. მიუხედავად ამისა, კურსის დასტაბილურება ვერა და ვერ მოხერხდა. ლარის გაუფასურებამ უკვე ფასებზეც მოახდინა გავლენა. ამას „სექსტატიც“ ადასტურებს.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2013 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონემ 1,5 პროცენტი შეადგინა.

ბოსტნეულისა და ბაღჩეულის თითქმის 32 პროცენტიანმა გაძვირებამ, ასევე რძის, ყველისა და კვერცხის გაძვირებამ (1,7 პროცენტით). მთლიანად — სურსათსა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე, ფასები 4,8 პროცენტით გაზარდა.

12,8 პროცენტით გაძვირებულმა მყარმა საწვავმა, თავის მხრივ, 1 პროცენტით გააძვირა საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია და ბუნებრივი აირის ჯგუფი.

ფასების ზრდის ტენდენციის მიუხედავად, ჯერჯერობით, ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი ვერ ხედავენ შერბილებული მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების აუცილებლობას.

„თუ ლარის კურსის დაცემა ფასების ზრდაზე აისახა და ჩვენ დავინახეთ, რომ გვაქვს მნიშვნელოვანი ინფლაციური ზეწოლა, თუ ჩვენი მიზნობრივი ინფლაცია, რომელიც 5 პროცენტია, საფრთხის ქვეშ დადგა, ამ შემთხვევაში დავიწყებთ პოლიტიკის გამკაცრებას, გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს და ამ პროცესებს არ დავუშვებთ“, — ამბობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე.

წლიური მაჩვენებლის რა მოგახსენოთ, მაგრამ ნოემბერ-დეკემბერში ინფალაცია აშკარად გადაცდა 5%-იან ნიშნულს და ასე გაგრძელება მოსახლეობას კარგს არაფერს უქადის.

ბექა დანელია

◎ რეზონანსი

იქნებ ავამოქმედოთ რიტუალების სასახლე?

ეხმაურებიან „საქართველოს რესპუბლიკის“ პუბლიკაციას

ძვირფასო რედაქცია, ჩვენ, თბილისის რაიონების აღმასრულებელი ორგანოების ყოფილ ხელმძღვანელებს, გვსურს, გამოვეხმაუროთ თქვენი გაზეთის შარშანდელი 10 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ავტორთა ჯგუფის მოსაზრებას თბილისის რიტუალების სასახლის საქმიანობასთან დაკავშირებით.

ჩვენ სრულად ვეთანხმებით გაზეთის აღნიშნულ პუბლიკაციაში გამოთქმულ აზრს, რომ დაუშვებელია საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობის — თბილისის რიტუალების სასახლის — კვლავაც უფუნქციოდ დატოვება.

მოვუწოდებთ სასახლის მფლობელებს, ბატონ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს, დედაქალაქის მერიას და მის საკრებულოს, მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ სასახლის 30 წლის იუბილემდე, 2014 წლის ოქტომბრამდე, დარჩენილ დროში ამ ობიექტმა განაახლოს საქმიანობა.

პატივისცემით,

თემურ თოფურიძე, ვახტანგ კიკნაძე, ბორის სიჟინავა, ზურაბ კახნიაშვილი, ავთანდილ კანდელაკი, ზურაბ ლელაშვილი, დიმიტრი ტყეშელაშვილი, აკაკი გონგლაძე, გურამ დიდბარიძე, გივი მაზიაშვილი, დავით ჯაფარიძე.

◎ ინფორმაცია

5 000-ზე მეტი დასახელების წამალი ურეცეპტოდ გაიყიდება

რეცეპტების ეტაპობრივი დანერგვის სისტემას, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს აცნობს.

როგორც დავით სერგეენკომ შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ეტაპობრივად გადადის მედიკამენტების რეცეპტების გაცემაზე, ანუ აღადგენს იმ ლოგიკას, რაც ყოველთვის იყო ჯანდაცვაში და, მეორეს მხრივ, უერთდება ევროკავშირის კონვენციებს.

რაც შეეხება ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს, მთავრობამ უკვე წარადგინა ინიციატივა, რომელსაც პარლამენტი განიხილავს. ეფედრინისა და კოდეინის შემცველი მედიკამენტები, რომელიც გამოიყენებოდა ნარკოტიკული თრობისთვის და საინექციო ნარკოტიკების დასამზადებლად, მეორე ჯგუფიდან აიწევა პირველი ჯგუფის, უმაღლესი კონტროლის ჯგუფში, ანუ ნარკოტიკების კატეგორიაში. მასზე გავრცელდება არა მარტო მკაცრი რეცეპტით გაცემა, არამედ მოხდება ქვეყანაში შემოსატანი რაოდენობის კვოტების განსაზღვრაც. მეორე ჯგუფის ექვსი მედიკამენტი, რომელთა სათავეშია დიკლოფენი, 10 დღეში გადავა პირველ ჯგუფში, ოღონდ ეს იქნება არა უმკაცრესი სიმაღლის კატეგორიაში, არამედ მესამე კატეგორიაში, ნარკოტიკებთან გათანაბრებულში. ეს რეგულირდება მინისტრის ბრძანებით, რომელიც უკვე გაცემულია და შესაბამისად რამდენიმე დღეში შევა ძალაში.

რაც შეეხება მესამე ჯგუფის მედიკამენტებს, როგორც დავით სერგეენკო აცხადებს, რჩება ძალიან დიდი ჯგუფი, მესამე ჯგუფი, სადაც 5 000-ზე მეტი დასახელების წამალი შევა, რომელზეც არანაირი რეცეპტი საჭირო არ იქნება და თავისუფლად გაიყიდება.

დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდება

ვეტერანთა დეპარტამენტის დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბების საკითხი მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საბოლოოდ გადაწყდა, - ამის შესახებ ჟურნალისტებს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განუცხადა.

— ვეტერანთა დეპარტამენტი უკვე არის დამოუკიდებელი სამთავრობო სტრუქტურა და ვეტერანებს ეყოლებათ პატრონი, — აღნიშნა ალასანიამ.

მისივე განმარტებით, დეპარტამენტის ხელმძღვანელის საკითხს პრემიერ-მინისტრი უახლოეს დღეებში გადაწყვეტს. „ეს თვისობრივად შეცვლის ვეტერანების სოციალური დაცვის პოლიტიკის შემდგომ ბედს ქვეყანაში“, — დასძინა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.

ინტერპრესი

◎ გრიფით „საიდუმლო“

როგორ ებრძოდნენ ნაციონალები კერძო ბიზნესს

ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და წინა მთავრობას შორის გაფორმებულ დოკუმენტს გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნა და მორანდუმის ინგლისური ვერსია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

როგორც პატარკაციშვილის ადვოკატებთან ერთად გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, საქართველოს დღევანდელი მთავრობა როგორც მხარე და სახელმწიფოს წარმომადგენელი, შეთანხმდა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან, მათი ადვოკატების წარმომადგენლობით, რომ განსაჯაროვდეს მხარეებს შორის დადებული 2011 წლის 6 ივლისის მორიგების ხელშეკრულებები. თეა წულუკიანის განცხადებით, ამ დღეს დაიდო ორი ხელშეკრულება.

როგორც წულუკიანმა განმარტა, მაშინ მხარეები იყვნენ იუსტიციის სამინისტრო, მთავარი პროკურატურა, შს სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, ფინანსური პოლიცია, საგადასახადო დეპარტამენტი, ეროვნული მარეგულირებელი კომისია და თბილისის მუნიციპალიტეტი. მათი ყველას სახელით, მორიგების ხელშეკრეულებებს ხელი მოაწერა იუსტიციის მაშინდელი მინისტრის პირველმა მოადგილემ თინა ბურჯალიანმა. მეორე მხარეს კი წარმოადგენდა ადვოკატების სახით პატარკაციშვილის ქვრივი, დედა და ოჯახის სხვა წევრები.

— ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, როდესაც 7 ნოემბრის შემდეგ ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ წინა ხელისუფლებამ, პრაქტიკულად, ტერორი აწარმოა, აღძრა დაუსაბუთებელი სისხლის სამართლის საქმეები და მისი ბიზნესის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა.

გარდაცვალების შემდეგ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა დაიწყო სამართლებრივი დავა და 2008 წელს საარბიტრაჟო წესით მოხდა საქმის ინიცირება ქალბატონი გუდავაძის მხრიდან საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში. ქალბატონი ინა და ოჯახი მიზნად ისახავდნენ „ტელეიმედის“ დაბრუნებას და თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „ლინკს“ შორის მთაწმინდის პარკთან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულების აღდგენას ან 400 მლნ ზიანის ანაზაღაურებას, — განაცხადა წულუკიანმა.

მისი თქმით, წინა ხელისუფლებამ შეხედა, რომ მეორე მხარეს იდგა ბიზნესი, რომელსაც სამართლებრივი წესით საკუთარი ინტერესის დაცვა შეეძლო, დაიწყო ოჯახთან მოლაპარაკება.

— შედგა მორიგება, რომლის პირობები იყო შემდეგი: გაფორმდა 17 საწარმოსთან მიმართებაში საგადასახადო დავალიანებაზე უარის თქმის მიზნით საგადასახადო შეთანხმებები; მთაწმინდის პარკთან დაკავშირებით თავიდან გაფორმდა თბილისის მუნიციპალიტეტთან იჯარის ხელშეკრულება; პატარკაციშვილის ოჯახს გადაეცა ყოფილი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთლიანი ქონება; ხელშეკრულების პირობად განისაზღვრა, რომ ეკონომიკის სამინისტრო გააფორმებდა ოჯახთან ხელშეკრულებას, რომ მაუდის ფაბრიკასთან დაკავშირებული საინვესტიციო ვალდებულებების კუთხით სახელმწიფო იტყოდა უარს და ეს ქონება გახდებოდა შესაბამისი შპს-ს კომპანიის ქონება. მხოლოდ და მხოლოდ ამის სანაცვლოდ ოჯახმა შეწყვიტა საარბიტრაჟო დავა, მათ შორის „იმედთან“ დაკავშირებითაც, რომლის დაბრუნებაზეც ოჯახმა იძულების გზით თქვა უარი. ოჯახი ასევე იძულებული გახდა უარი ეთქვა სხვადასხვა კომპანიასთან დაკავშირებული ინტერესების დარღვევის მიზნით დავაზე, ხელშეკრულებაში მოხსენიებულია როგორც „აგარის“ შაქრის ქარხანა, ასევე სხვა კომპანიები.

ყველა პირობა ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პირობებში ითვლება, რომ წინა ხელისუფლებამ შეასრულა. თქვენ გახსოვთ, ჩვენი ხელისუფლების პირობებში, სექტემბერში, ამ ხელშეკრულებებს და დანართებს მოეხსნა გრიფი „საიდუმლო“, მაგრამ ვერ განსაჯაროვდა დღემდე, რადგან ხელშეკრულებები იყო დაცული სპეციალური მუხლით კონფიდენციალობის შესახებ, — განაცხადა წულუკიანმა.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მადლობა გადაუხადა ოჯახს, რომ მზაობა გამოთქვეს მოეხსნათ ეს კონფიდენციალობის მუხლი, რაც იყო განსაჯაროებისთვის ბოლო ბარიერი.

— ჩვენი ხელისუფლება გმობს იმ მიდგომას, რომელიც წინა ხელისუფლებამ ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესის და პიროვნულად მის წინააღმდეგ აწარმოა. ვთვლით, რომ ეს იყო ბიზნესზე სამაგალითო ზეწოლა, რომელიც განხორციელდა და რეალურად ეს იყო ის მოდელი, რომლითაც ებრძოდა ყოფილი ხელისუფლება ბიზნესს. ძალიან ბევრ ქარტეხილს გაუძლო ოჯახმა და მინდა, განსაკუთრებით დიდი პატივისცემა გამოვხატო ბადრი პატარკაციშვილის დედის მიმართ, რომელმაც ყველაფერი ეს მასთან ერთად გამოიარა, — აღნიშნა წულუკიანმა.

მისივე თქმით, მხოლოდ და მხოლოდ, პირუთვნელი მოსამართლის, პირუთვნელი არბიტრის შიშით წავიდა წინა ხელისუფლება დათმობაზე.

— ეს ამტკიცებს იმას, წინა ხელისუფლების პირობებში რომ ყოფილიყო დამოუკიდებელი სასამართლო საქართველოში, არც ბიზნესი და არც ერთი მოქალაქე არ გახდებოდა იმ ტერორის მსხვერპლი, რომლის მსხვერპლი 9 წლის განმავლობაში იყო ქართველი საზოგადოება.

ინტერპრესი

◎ საგანგებო ვითარება

ქვეყანას მეცნიერების გარეშე დარჩენა ემუქრება?

რატომ აპირებდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების დამთავრებამდე დატოვებას?

„საძართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, როგორც ხელისუფლების მთავარი სამეცნიერო მრჩეველი, შეშფოთებულია ძართული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობით და მისი მომავლით. სამწუხაროდ, უკვე რამდენიმე წელია, ვერ მოიძებნა მეცნიერების მართვის ისეთი ფორმა, რომელიც იმპულსს მისცემდა მის შემდგომ განვითარებას საძართველოს სახელმწიფოებრიობის გასაძლიერებლად“. – ეს გახლავთ ამონარიდი წერილიდან, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი (ოთარ)კვესიტაძემ გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს, პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, განათლების და მეცნიერების მინისტრს თამარ სანიკიძეს და ბატონ ბიძინა ივანიშვილს.

ჩვენს ქვეყანაში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, – ნათქვამია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრესრელიზში, დღეს მწვავედ დადგა ქართული მეცნიერების გადარჩენის საკითხი. ამიტომაც გადაწყვიტა მეცნიერებათა აკადემიამ, 17 იანვარს მოეწვია გაფართოებული საერთო კრება, რომელიც მიეძღვნებოდა ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების ორგანიზაციის სფეროში დღეისათვის შექმნილ უკიდურესად კრიტიკულ ვითარებას.

ეს კრება გუშინ გაიმართა კიდეც და მიმართვაც მიიღო საქართველოს ხელისუფლებისადმი.

– ძვეყანას მეცნიერების გარეშე დარჩენა ემუქრება! – ეს საგანგეშო ფრაზა რამდენჯერმე გაისმა კრებაზეც და ქვეყნის ხელისუფლებისადმი მიმართვაშიც აისახა.

კრების მონაწილეთა თქმით, ქართული მეცნიერებისა და ქართველ მეცნიერთათვის საგანგაშო ზარმა ხელისუფლების სათავეში ნაცმოძრაობის მოსვლისთანავე ჩამოკრა, როდესაც „რეფორმატორებმა“, კანალიზაციის სპეციალისტი მინისტრის კახა ლომაიას თავკაცობით, მეცნიერებაზე, ყველაზე რბილად რომ ვთქვათ, ცხვირი აიბზუა – **მეცნიერება, მით უფრო, ფუნდამენტური მეცნიერება, არ გვჭირდება, ეს ჩვენთვის ზედმეტი ფუფუნებაა, თუ დაგვჭირდა, საზღვარგარეთიდან შემოვიტანთ თანამედროვე ტექნოლოგიებსო(?!).**

თუმცა, ვინ იმუშავებდა ჩვენს ნაცვლად, ან ვინ გვაჩუქებდა ასეთ ტექნოლოგიებს, არავის არ უთქვამს და, ცხადია, ისინი არც მიგვიღია.

ცხარე და საქმიან კამათში, რომელსაც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი (ოთარ) კვესიტაძემ თავისი შინაარსიანი ლაკონური მოხსენებით სწორი მიმართულება მისცა, მონაწილეობა მიიღეს თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა **ვლადიმერ პაპავამ,** აკადემიკოსმა **გიორგი ჯაფარიძემ,** პროფესორმა **გიორგი გოგოლაშვილმა,** აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **თემურ ნანეიშვილმა,** აკადემიკოსმა **მარიკა ლორთქიფანიძემ,** აკადემიკოსმა **ელიზბარ ჯაველიძემ,** პოეტმა **რეზო ამაშუკელმა,** აკადემიკოსმა **გოჩა ჩოგოვაძემ,** აკადემიკოსმა **არჩილ ფრანგიშვილმა, მეუფე ალავერდელმა** და სხვებმა.

ყავით მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილ ვითარებაში ღრმად ჩაწვდომა-გარკვევის მიზნით!).

მათ აღნიშნეს, რომ მეცნიერებას სახელმწიფოსა და ხელისუფლებისგან ყურადღება აკლია, დღესაც ყველაფერი თითქმის ნაციონალ „რეფორმატორთა“ მიერ დასახული პროგრამით მიდის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უმეტესწილად, მეცნიერებათა აკადემიისა და მეცნიერთა მონაწილეობის გარეშე, მათთან მოუთათბირებლად წყვეტს და სხვა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ფაქტობრივად უარყო სამინისტროს მიმართ გამოთქმული საყვედურ-პრეტენზიები, – ჩვენი უწყება ყოველმხრივ ეხმარება მეცნიერებასა და მეცნიერებს, და თუ რამე პრობლემები მაინც არსებობს, სამინისტროს კარი ღიაა, მობრძანდით, აი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი ოთარ კვესიტაძე მოვიდა კიდეც ერთხელ ჩემთან **(რაო, პირმშვენიერო ქალბატონო, იქნებ ბატონ ოთარს დიდ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს ის, რომ ინებეთ მისი მიღება? ნუ მიწყენთ და, ჩემი ღრმა რწმენით, ნახევარი წლის განმავლობაში, რაც თქვენ მინისტრი ბრძანდებით, თუმც ძალიან ბევრი საქმე და პრობლემა გაქვთ მოსაგვარებელ-გადასაჭრელი, უთუოდ უნდა გამოგენახათ დრო და, როგორც მეცნიერებათა მინისტრიც, თავად მიბრძანებულიყავით მეცნიერებათა აკადემიის შენობიდან, რაც, თუმცა, შესაძლოა, საქმიანი აუცილებლობით იყო გამოწვეული, ბევრმა არასწორ გადაწყვეტილებად ჩაუთვალა. ასევე კრების დამთავრებამდე გავიდა სხდომათა დარბაზიდან ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურიც, მაგრამ მისი წასვლა არავის გაუკრიტიკებია, რადგან მან სიტყვით გამოსვლისას დამსწრეთ გააცნო წასვლის მიზეზი და მოიბოდიშა კიდეც ამის გამო).**

კრების მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ხელისუფლებისადმი მიმართვას, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II მისალმების ტექსტთან ერთად.

რუსლან რუსია

იმედი მაქვს, ხელისუფლება ჩვენი მეცნიერების შეთავაზებებსაც გაითვალისწინებს

გულითადად მივესალმები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 2014 წლის 17 იანვრის სხდომის მონაწილეთ, რომელნიც სამეცნიეროდ დარგში მდგარ პრობლემებს განიხილავენ.

ერთი რამ ფაქტია, უნდა მოხდეს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული რესურსის სრულად გამოყენება, რომ შევინარჩუნოთ მეცნიერული აზრის უწყვეტობა და, ამასთან, შევძლოთ, ვიამაყოთ ახალი აღმოჩენებით.

გასაკეთებელი ძალიან ბევრია, რომ მივაღწიოთ თუნდაც იმ დონეს, რაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გვქონდა.

განათლება-მეცნიერება და ჯანმრთელობის დაცვა ერზე ზრუნვის მთავარი მაჩვენებელია. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი ხელისუფლება ამ მიმართულებით სერიოზულ ნაბიჯებს ინტენსიურად კვლავაც გადადგამს და ჩვენი მეცნიერების შეთავაზებებსაც გაითვალისწინებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი



2014 წლის 17 იანვარი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისადმი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული **აკადემიის გაფართოებული საერთო კრება ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების ორგანიზაციის სფეროში დღეისათვის შექმნილ ვითარებას აფასებს როგორც უკიდურესად კრიტიკულს** და მიზანშეწონილად მიიჩნევს, კონკრეტული წინადადებებით მიმართოს საქართველოს ხელისუფლებას.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი; მას შემდეგ, რაც მიზანმიმართულად დაიშალა მეცნიერების ორგანიზაციის აკადემიური სისტემა და თვით სამეცნიერო ბიბლიოთეკაც კი გამოიყვანეს აკადემიის შემადგენლობიდან, განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა კვლევითი ინსტიტუტები – დიდი სახელისა და ინტელექტუალური მემკვიდრეობის მატარებელი სამეცნიერო სკოლები; ვითარების სიმძიმეზე მარტივი სტატისტიკაც მეტყველებს: 45 000-მდე მეცნიერიდან რეალურად 3000-იც აღარ არის დარჩენილი; აღარ მოქმედებს 6 ათეულამდე კვლევითი ინსტიტუტის უმრავლესობა; განადგურებულია საკვლევ-ექსპერიმენტული ბაზები; სრულიად პატივაყრილია თვით მეცნიერი – მისი ხელფასი მინიმუმ 10-ჯერ ნაკლებია სახელმწიფო სტრუქტურების რიგით თანამშრომელთა ანაზღაურებაზე; ახალგაზრდობაში აღარ არსებობს მოტივირებული ლტოლვა მეცნიერებისაკენ; თანდათანობით იკარგება მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტრადიცია – ცოდნის, სამეცნიერო აზრის უწყვეტობა, მემკვიდრეობითობა და თაობათა ცვლის პარმონიულობა.

ძვეყანას მეცნიერების გარეშე დარჩენა ემუქრება.

სამწუხაროდ, ერთი წლის ფაქტობრივი უმოქმედობის შემდეგ, ამ კრიტიკულ ვითარებაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სახელდახელოდ შემოთავაზებული გეგმა უნივერსიტეტებთან არსებული კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო პერსონალის მხოლოდ „პროგრამული წესით დაფინანსებისა“, არის მცდარი და საზიანო; ის არსებითად გაგრძელებაა წინა ხელისუფლების ყველაზე დამღუპველი იდეებისა და მთლიანად სცდება იმ სტრატეგიას, რაც ახალი პოლიტიკური ძალის – „ქართული ოცნების“ – სამოქმედო პროგრამით იყო დასახული; ეს გეგმა ასევე არ თანხვდება საქართველოს პარლამენტის ამა წლის საბიუჯეტო პრიორიტეტების სქემას. მისი განხორციელება სასწაულებრივად გადარჩენილი მცირედი რეზერვების განადგურებასაც გამოიწვევს და საბოლოოდ შეაფერხებს მეცნიერებაში ახალგაზრდა თაობების მოზიდვას...

იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს მეცნიერების შემდგომი განვითარების გზა, შესწავლილ უნდა იქნეს მისი დღევანდელი მდგომარეობა და შეფასდეს იგი ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებთან მიმართებით; უნდა დადგინდეს რეალურად არსებული სამეცნიერო პოტენციალი, ექსპერიმენტული ბაზების მდგომარეობა, ე.ი. ჩატარდეს მეცნიერების გენერალური აღწერა. მხოლოდ მონაცემთა ასეთი ბაზის შექმნის შემდეგ გახდება შესაძლებელი შემუშავდეს მეცნიერების კრიზისიდან გამოყვანის თანამიმდევრული გეგმა. ხოლო მეცნიერების მართვის ამ რეფორმას უნდა ახორციელებდეს პროფესიონალ მეცნიერთაგან დაკომპლექტებული გუნდი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გაფართოებული საერთო კრება მიიჩნევს, რომ ქვეყანაში სამეცნიერო მრჩეველისა და ექსპერტის ფუნქციის შესრულება ნებისმიერი ორგანიზაციისთვის ძალზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მოვალეობაა და ამ შეგნებითა და პასუხისმგებლობით სთავაზობს ხელისუფლებას მეცნიერებაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დაძლევის პირველ რეალურ ნაბიჯებს და შემდეგი წინადადებებით მიმართავს მას:

1. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას:

ა) **შეჩერდეს** კვლევითი ინსტიტუტების **„პროგრამული წესით დაფინანსების“** მცდარი ინიციატივის **რეალიზება** და, რაციონალური გადაწყვეტილების შემუშავებამდე, ინსტიტუტებს **განესაზღვროს შესაბამისი იურიდიული სტატუსი და საბაზო დაფინანსება**. „პროგრამულ დაფინანსებაზე“ საუბარი შესაძლებელია მხოლოდ გარანტირებული საბაზო დაფინანსების შემდეგ;

ბ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, როგორც სახელმწიფოს მთავარი მეცნიერული მრჩეველი, შესაბამისად, იქნეს ჩართული მიმდინარე პროცესებში და მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნას **წარმომადგენლობითი კომისია**, რომელიც უმოკლეს ვადაში შეიმუშავებს **საქართველოში მეცნიერების მართვისა და განვითარების სახელმწიფო ხედვას**;

2. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს:

ა) საქართველოს კანონში „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ შევიდეს შესწორება, რომელიც განსაზღვრავს არსებული **კვლევითი ინსტიტუტების არჩევანის თავისუფლებას** – ვის დაქვემდებარებაში განახორციელონ თავიანთი სამეცნიერო კვლევები – რომელიმე სამინისტროსა თუ კორპორაციის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, უნივერსიტეტის, სპეციალური სამეცნიერო გაერთიანებისა („ცენტრის“) თუ სხვა ფორმით. ამავე დროს, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა უწყებებს დაქვემდებარებული ინსტიტუტების სამეცნიერო პერსონალის შრომის საბიუჯეტო სარგო კვალიფიკაციის მიხედვით არსებითად თანაბარი იქნება;

ბ) საქართველოს **პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა მოიწვიოს საგანგებო (გაფართოებული) სხდომა** მეცნიერების სფეროში შექმნილი კრიზისული ვითარების განსახილველად.

2014 წლის 17 იანვარი

„სრ“ რედაქციისგან: როგორც მკითხველიც იოლად შეამჩნევდა, ქართულ მეცნიერებაში მართლაც ძალიან ბევრი სირთულეა და ვითარებაც ერთგვარად საგანგაშოა. მაგრამ ამ პუბლიკაციას რუბრიკად მაინც „საგანგებო ვითარება“ წავუმძღვარეთ და არა – „საგანგებო“ ვითარება“, რადგან გვჯერა, რომ ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლების მოწადინება-თანადგომით ყველა სიძნელე დაიძლევა და საქართველოს მეცნიერების გარეშე დარჩენა არ დაემუქრება.

◎ ლიმიტი „შეზღუდულია“

პარლამენტარები ბიუჯეტს ყვლეფენ!

საქართველოს პარლამენტი მიმდინარე წელს, დაახლოებით 444 600 ლიტრი ბენზინის და 34 800 ლიტრი დიზელის გამოყენებას გეგმავს. სატელეფონო მომსახურებისთვის კი, უწყება 230 450 ლარის გაღებას აპირებს. სატრანსპორტო და სატელეფონო ხარჯების თაობაზე გადაწყვეტილება ხაზინადართა საბჭომ უკვე მიიღო, სადაც ლიმიტები განისაზღვრა.

კერძოდ, მიღებული გადაწყვეტილებით, თანამდებობის პირი დეპუტატები ყოველთვიურად 500-დან 1000 ლიტრამდე საწვავს მიიღებენ, რომელთა შორის პრივილეგიით პარლამენტის თავმჯდომარე ისარგებლებს. დავით უსუფაშვილი მიმდინარე წელს საწვავს ულიმიტოდ მიიღებს, პირველ ვიცე-სპიკერს, მანანა კობახიძეს 1000 ლიტრი ბენზინი გამოეყოფა, ხოლო დანარჩენ ვიცე-სპიკერებს — გიორგი ბარამიძეს, მურმან დუმბაძეს, ზურაბ აბაშიძესა და ზვიად ძიძიგურს 600 ლიტრი. აღნიშნული პირების მძღოლთა თვიური სარგო კი, 1000 ლარით განისაზღვრება.

ასევე 600 ლიტრი საწვავი გამოეყოფა უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძესა და უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძეს, რომელთა მძღოლთა სარგო 1000 ლარით განისაზღვრება. თუმცა, მათი აპარატის თანამშრომლები 350 ლიტრ საწვავს მიიღებენ.

დეპუტატებს საწვავი ბარათებზე დაერიცხებათ - მძღოლები საწვავს ვეღარ გაყიდიან

რაც შეეხება საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეთა სატრანსპორტო ხარჯებს, ვახტანგ ხმალაძე (იურიდიულ საკითხთა კომიტეტი), გიორგი კახიანი (საპროცედურო საკითხთა კომიტეტი), ვიქტორ დოლიძე (ევროინტეგრაციის კომიტეტი), თედო ჯაფარიძე(საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი), გიორგი ცაგარეიშვილი (გარემოს დაცვის კომიტეტი), დავით ონოფრიშვილი (საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი), დიმიტრი ხუნდაძე (ჯანდაცვის კომიტეტი), ივანე კიღურაძე (განათლების კომიტეტი),გიგლა აგულაშვილი (აგრარულ საკითხთა კომიტეტი), ირაკლი სესიაშვილი (თავდაცვის კომიტეტი), ზურაბ ტყემალაძე (დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი), ეკა ბესელია (ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი), ირაკლი ტრიპოლსკი (თვითმმართველობის კომიტეტი), ლერი ხაბელოვი (სპორტის კომიტეტი) და გუბაზ სანიკიძე ყოველთვიურად 500 ლიტრ ბენზინს მიიღებენ, ხოლო მათი მძღოლები ანაზღაურების სახით, 1000 ლარს.

ამასთან, კომიტეტების თავმჯდომარეების პარალელურად, ავტომობილები ისევ მოემსახურება მათ მოადგილეებსაც, რომელთა შორის არიან — შალვა შავგულიძე, ფრიდონ საყვარელიძე, ლევან ბერძენიშვილი, ბიძინა გუჯაბიძე, ნოდარ ებანოიძე, გუგული მაღრაძე, ალექსანდრე ქანთარია, გელა სამხარაული, ალექსანრე თამაზაშვილი, პაატა კვიჟინაძე, გედევან ფოფხაძე, გია ჟორჟოლიანი, ზვიად კვაჭანტირაძე, შოთა ხაბარელი და შალვა კიკნაველიძე. აღნიშნული პირები გადაადგილებისთვის ყოველთვიურად, 400 ლიტრ საწვავს მიიღებენ, ხოლო მათი მძღოლები 880 ლარს.

აღნიშნული პირების გარდა, ავტომობილები კვლავ მოემსახურება ფრაქციის თავმჯდომარეებსაც, რომელთა შორის არიან — გია ვოლსკი (ფრაქცია — „ქართული ოცნება“), ირაკლი ჩიქოვანი (ფრაქცია - „თავისუფალი-დემოკრატები“), დავით ბერძენიშვილი (ფრაქცია - „რესპუბლიკელები“), გიგა ბუკია (ფრაქცია — „კონსერვატორები“), მალხაზ ვახტანგიშვილი (ფრაქცია — „ეროვნული ფორუმი“), გოგი თოფაძე (ფრაქცია „მრეწველები“) და „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარეები აკაკი ბობოხიძე, გოკა გაბაშვილი და ტარიელ ლონდარიძე. აღნიშნულ კანონმდებლებს ყოველთვიურად 500 ლიტრი საწვავი გამოეყოფათ, მათი აპარატის თანამშრომლებს კი 350 ლიტრი ბენზინი.

დეპუტატების გარდა, ყოველთვიურად 550 ლიტრ საწვავს მიიღებს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელი ზურაბ მარაქველიძე, ხოლო 350 ლიტრი საწვავი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს გამოეყოფათ.

მართალია, საკანონმდებლო ორგანოს 2014 წელს სატრანსპორტო მომსახურებისთვის კოლოსალური თანხების გაღება მოუწევს, მაგრამ რიგ დეპუტატებს, თუ მათ მძღოლებს საწვავით მანიპულირება აღარ შეეძლებათ.

For.ge-ს ინფორმაციით, იმის გამო, რომ ამ მოწვევის პარლამენტში ერთ-ერთი დეპუტატის მძღოლმა საწვავის ტალონები გაყიდა, აპარატის გადაწყვეტილებით, თანამდებობის პირებს ლიმიტით გათვალისწინებული საწვავი ბარათზე დაერიცხებათ. იმ შემთხვევაში თუ, დეპუტატს საწვავი „მორჩება“, მას საწვავის დაზოგილი რაოდენობა „ჩამოეჭრება“.

თუ რა რაოდენობის საწვავს დაზოგავენ დეპუტატები, ამის პროგნოზი ძნელია, მაგრამ უწყება ყოველთვიურად, 32 050 ლიტრ ბენზინს და 1900 ლიტრ დიზელს შეიძენს, რეზერვის სახით კი, 5000 ლიტრ ბენზინს და 1000 ლიტრ დიზელს მოიმარაგებს.

აღსანიშნავია, რომ საწვავის ხარჯების პარალელურად, საკანონმდებლო ორგანოს ავტომობილების ტექმომსახურებისთვის და საბურავების შეძენისთვის თანხების გამოყოფა მოუწევს, რაც ხაზინადართა საბჭოს გათვლით, 2014 წელს, დაახლოებით 339 680 ლარი იქნება, საიდანაც 221 500 ლარი ტექმომსახურებისთვის დაიხარჯება.

კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარესა და სპიკერებს, ავტომობილების ტექმომსახურებისთვის ლიმიტი არ დაუწესდებათ, მაგრამ მათ საბურავების შეძენისთვის 2000 ლარიდან 3600 ლარამდე გამოეყოფათ. კომიტეტის თავმჯდომარეებს კი წლის განმავლობაში, 1200 ლარის ღირებულების საბურავების შეძენა შეეძლებათ, ხოლო 2500 ლარი ტექმომსახურების ხარჯების დაფარვისთვის გამოეყოფათ, რაც დეპუტატთა შეფასებით, არასაკმარისია, რადგან მათი თქმით, პარლამენტის ავტოპარკი ძველია.

სატრანსპორტო ხარჯების გარდა, უწყებას საკუთარი ბიუჯეტიდან სატელეფონო ხარჯების დაფარვაც მოუწევს. კერძოდ, ხაზინადართა საბჭოს გადაწყვეტილებით, მობილურით სარგებლობისთვის 134 520 ლარი გამოიყოფა, როუმინგით სარგებლობისთვის 31 250 ლარი, ხოლო შიდა ტელეფონებისთვის 64 680 ლარი. სატელეფონო მომსახურებით, მხოლოდ თანანამდებობის პირი დეპუტატები და აპარატის თანამშრომლები ისარგებლებენ. კერძოდ, კომიტეტის თავმჯდომარეები ყოველთვიურად, 50 ლარის მომსახურების პაკეტს მიიღებენ, ხოლო მათი მოადგილეები 40 ლარს.

ტრანსპორტისა და ტელეფონის ხარჯების გარდა, უწყება კანონმდებლებს ქუთაისში საცხოვრებელი ფართების ქირასაც უნაზღაურებს, რაც ყოველთვიურად, საშუალოდ 600 ლარით განისაზღვრება. ამ ხარჯთაღრიცხვის ფონზე კი, როდესაც, ხშირად პარლამენტში კვორუმის პრობლემაა, ისმის კითხვა — „ბიუჯეტს უღირს კი, ეს თანხები?!“.

თეონა მანაგაძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **პროკურატურიდან თეთრი ბოლი ამოვიდა. ფოტოშოფია ვითამ?**

● **პიკასოს ბიჭი ოლვეისის ხიდზე ქალაქ თბილთაისში.**

● **ყველამ რომ სიმართლე ილაპარაკოს.... აი სულ, სულ ყველამ.... ეუფ, რა მოხდება!**

● **დღეს ამეხილა თვალი და ვირწმუნე ჭეშმარიტი ირაკლი... მრცხვენია საკუთარი ბნელი წარსულის... 20-ჯერ რო წავიკითხო პრემიერის საპროგრამო დოკუმენტი, მომეშვება?**

● **რა საყვარლები, სამართლიანები და გულთბილები ხართ გამარჯვებამდე და რა გემართებათ გამარჯვების შემდეგ? და მერე, როცა ისევ მარცხდებით, როგორი მეგობრულები ხდებით ისევ.**

● **ვისაც ვგულშემატკივრობ, ყველას დამარცხება როგორ ვინატრო ხოლმე, რომ ადამიანად დარჩეთ.**

● **ზის და იჯდეი რაო.**

ამჯერად ი. ღარიბაშვილი.

● **ბიძო უკეთ იჯირყვნებოდა!**

● **ისე პრადვინუტმა ევროპიელმა ნაცებმა არ იციან რომ, პარტიის წევრ პარტიის ფინანსისტებსა, პარტიისთვის ფინანსების მოზიდვის დიდი ნიჭით დაჯილდოებულ ტიპებს საფრანგეთის კანონმდებლობა კაი ხნით ციხეში რო უშვებს ხოლმე, არ იცით ბაბაიებოო? თუუუამათ მართლა დაიბანეს კეზერაზე ხელ-ფეხი და ფრანგებს უნამიოკებენ, დაიჭირეთ მაგის შავი შუბაც დაგვიხვიაო?**

● **ჩვენთვის, კაცები რომ გვქვია, იმათთვის, სამწუხარო დასკვნა გავაკეთე, ღირსება საქართველოში ქალებში გაჯეჯილდა, დავფიქრდი, ვინ მყავს მაგარი, სანდო, ნიჭიერი, სიკეთით და, რაც მთავარია, ენერგიით აღსავსე მეგობრები, ვისაც არაფერი ეშლებათ, ძმობაში და ჯიგრობაში, არ ემონებიან მავნე „პრივიჩკებს“ — აღმოვაჩინე, რომ მათში 90% ქალია!**

● **ვიდრე სახლში ნაძვის ხე გიდგათ, გაზაფხული არ მოვა.**

ძველი ზულუსური სიბრძნე.

● **მთავარი პრობლემა რაც ირაკლი ღარიბაშვილის პრესკონფერენციაზე დავინახე ისაა, რომ ბიძომ მოგვატყუა და სამოქალაქო სექტორში არ გადასულა, ისევ ამათ აძლევს რჩევებს.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

უპრეცედენტო ენერგოპროექტის მშენებლობა იწყება

საპარტნიორო ფონდი შვილობილ კომპანია - „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან„ ერთად დღეს, გარდაბნის რაიონში უპრეცედენტო ენერგოპროექტს — გარდაბნის 230 მგვ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობას იწყებს.

მშენებლობის დაწყების საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ, მთავრობის წევრებმა, პარლამენტარებმა, თურქეთიდან მოწვეულმა სტუმრებმა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებმა.

გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგური, რომელიც ექსპლუატაციაში 2015 წლის ბოლოდან შევა, აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნოლოგიებით, მათ შორის „ჯენერალ ელეკტრიკის“ უახლესი ტურბინებით და ადგილობრივ ბაზარს დამატებითი ელექტროენერგიით მოამარაგებს. დამატებითი, ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემაში პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, გარდაბნის სადგური უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფს სისტემის ელექტრონერგიით უწყვეტ მომარაგებას.

— გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მარგი ქმედების კოეფიციენტი საქართველოში არსებული ბუნებრივ აირზე მომუშავე სხვა თბოელექტროსადგურებისგან განსხვავებით თითქმის ორჯერ უფრო მაღალი და უფრო ეკონომიური იქნება. მსგავსი მასშტაბის ენერგეტიკული პროექტი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ხორციელდება, რის გამოც მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გარდაბნის თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია იქნება ენერგეტიკულ სისტემაში ყველაზე საიმედო რეზერვი, რომელიც ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას კიდევ უფრო გაამყარებს.

მათივე ცნობით, პროექტის საინვესტიციო ღირებულება 220 მლნ. აშშ დოლარია. იგი ფინანსდება საპარტნიორო ფონდისა და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ, ხოლო სადგურის მშენებლობას უმსხვილესი თურქული კომპანია ახორციელებს. ღარიბაშვილის შეფასებით, ეს უპრეცედენტო პროექტია და ასეთი დიდი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ახალ ეტაპად. მისივე თქმით, საქართველოსთვის, ისევე როგორც სხვა ქვეყნისთვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენერგოდამოუკიდებლობასა და ენერგოუსაფრთხოებას, რასთანაც პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოს უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა.

ნოდარ ხადური ისრაელის ელჩს შეხვდა

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში იუვალ ფუქსს შეხვდა. ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით , შეხვედრაზე ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურების აუცილებლობაზე.

საუბარი ასევე შეეხო იანვრის ბოლოს, საქართველო-ისრაელის ერთობლივი ეკონომიკური კომისიის სხდომაზე განსახილველ საკითხებს.

ინტერპრესი

◎ კვალი დროში

ჭეშმარიტი მამულიშვილი

რვა ათეული წელი შეუსრულდა სააქციო საზოგადოება „საქსაშენმეცნიერების“ და მისდამი დაქვემდებარებულ ქუთათელაძის სახელობის საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს და საქართველოს დამსახურებულ მშენებელს, ღირსების ორდენის კავალერს, დარგის და ორგანიზაციის ამაგდარ ხელმძღვანელს, ბატონ დავით (ჯემალ) სოლომონის ძე გაგუნაშვილს.

ბატონი დავითი ჭეშმარიტი მამულიშვილი და საამაყო პიროვნებაა, ერთგული და თბილი მეოჯახე, მოსიყვარულე მამა, ბაბუა და კიდევ დიდი ბაბუა. კეთილშობილი და სიკეთის განმსახიერებელი მეგობარი და ნათესავი.

ბატონმა დავითმა 1952 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა 43-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1957 წელს წითელი დიპლომით — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საპროექტო ბიუროში ჯერ ინჟინრად, შემდგომ კი განყოფილების გამგედ. 1963 წელს გადაჰყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის მშენებლობის განყოფილების ინსპექტორად, 1970 წლიდან კი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად.

1973 წლიდან დავით გაგუნაშვილი ინიშნება საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილედ.

ხელმძღვანელ ორგანოებში მუშაობისას ბატონმა დავითმა დიდი წვლილი შეიტანა სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით მშენებლობის, სწორი დაგეგმვისა და განვითარების საკითხებში, დიდი შრომა გასწია სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ცხოვრებაში განხორციელებისთვის. მისი უშუალო კურატორობით და ხელმძღვანელობით აშენდა რესპუბლიკის მრავალი ღირსშესანიშნავი შენობა-ნაგებობა და სამრეწველო ობიექტი.

1976 წლიდან დავით გაგუნაშვილი სამეცნიერო სამუშაოზეა — ქუთათელაძის სახელობის საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა. 1979 წლიდან დღემდე კი— ს/ს „საქსაშენმეცნიერების“ გენერალური დირექტორი. ამ წლებში მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ინსტიტუტში ვითარდება ბეტონის მაღალი სიმტკიცის ზემსუბუქი ხელოვნური შემავსებლების, სხვადასხვა სახის მოსაპირკეთებელი ფილების, მინის ბოჭკოვანი მასალების და სხვათა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მიღების ტექნოლოგიის შემუშავება.

ბატონი დავითი მრავალი სამეცნიერო შრომის და ტექნიკური სიახლის მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში განხორციელების ინიციატორი, ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია, ათობის გამოგონების, სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მისი თაოსნობით დაარსდა ჟურნალი „საშენი მასალები და ნაკეთობები“. იგი წლების განმავლობაში იყო მისი უცვლელი მთავარი რედაქტორი, რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი და თავმჯდომარე.

მისმა ორგანიზატორულმა ნიჭმა, ერთი მხრივ, თანამშრომელთა მიმართ საშემსრულებლო დისციპლინის მკაცრმა მოთხოვნამ, მეორე მხრივ, მათ მიმართ გულისხმიერების, მზრუნველობის, თანადგომის გამოჩენის საოცარმა უნარმა განაპირობა დღევანდელ რთულ პირობებში შეენარჩუნებინა კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივის სიცოცხლისუნარიანი, ძირითადი ბირთვი, რომელიც აგრძელებს შრომას რესპუბლიკის სამშენებლო ინდუსტრიის ხარისხის კვლევის საკითხების შესასწავლად და გასაუმჯობესებლად.

ბატონი დავითი გამოირჩევა დიდბუნებოვნებით, მეგობრებისადმი თანადგომით, წრფელი გულით, დიდი კაცთმოყვარეობით, შესანიშნავი და მაღალი ღირსებით შემკული ოჯახის თავკაცობით.

ამ თვისებებმა განაპირობა მისი პოპულარობა, მისდამი დიდი პატივისცემა, სიყვარული და მოკრძალება.

ასეთ კაცს, უცხოსაც კი კეთილ სურვილებს უსურვებს ადამიანი, თქვენ კი ჩვენი ხართ და მთელი გრძნობით გისურვებთ ჯანმრთელ ცხოვრებას, შემდგომ წარმატებებს, შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების ბედნიერებას, თქვენი მშობლიური საქართველოს აყვავებას და მშვიდობას.

ბატონ დავით გაგუნაშვილს საქართველოს საინჟინრო აკადემია და მისი მადლიერი კოლექტივი დაბადებიდან მე-80 წლისთავს ულოცავს და უსურვებს, კიდევ დიდხანს ეშრომოს და ეღვაწოს ხალხისა და ერის საკეთილდღეოდ დღევანდელი ხალისითა და შემართებით.

საქართველოს საინჟინრო აკადემია, სააქციო საზოგადოება „საქსაშენმეცნიერება“.

◎ მივმართავ ხელისუფლებას

თუ თანხის მოცემას გადამივადებთ, მაშინ სიკვდილიც გადამივადეთ!...

ბატონო პრემიერ-მინისტრო! ახლა უკვე ღია წერილით მოგმართავთ მე, ერთი რიგითი მოქალაქე, ბატონი ბიძინას და თქვენი მხარდამჭერი ბატონ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის პირველივე დღიდან.

ტელევიზიით სრულად მოვისმინე თქვენი ჟურნალისტებთან შეხვედრა, რაღა თქმა უნდა, ძირითადად კომპეტენტური და ადეკვატური იმ კითხვებისა, რაც ჟურნალისტებმა დაგისვეს. თქვენი ერთი მთავარი სასაუბრო საკითხი იყო საკუთრების დაცვა, კერძოდ, ბიზნესსაკუთრებასთან დაკავშირებული მოვლენები.

აი, აქ მიჩნდება მე კითხვა თქვენთან: **ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაიმიჯნოს შეფასებებში ბიზნესსაკუთრება და აბსოლუტურად ადამიანური რესურსის დაბანდებით მოპოვებული, ხელფასიდან დანაზოგით შექმნილი საკუთრება, რომელიც ამ საკუთრების პატრონისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხია?** ეს გახლავთ 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი ობლიგაციები (სინამდვილეში — სასტიკად წამგებიანი). მოგება არხვედრილი ეს ობლიგაციები ნომინალურად უნდა განაღდებულიყო 2002 წელს. 2003-2004 წლებში სააკაშვილმა გაანაღდა ამ ობლიგაციების ნაწილი, ისიც თავის ფავორიტებზე, ერთ-ერთ მათგანზე „ალია“-ს მიერ მოპოვებული დოკუმენტი წარვადგინე ყველა ამ საკითხით დაინტერესებულ ინსტიტუციაში, მათ შორის თქვენთანაც. აქ უნდა დავსძინო, რომ ამ თანხების განაღდების პირობა იყო ის, რომ პირველ რიგში დაკმაყოფილებულიყვნენ მოხუცები, I ჯგ. ინვალიდები და მოსახლეობის შეჭირვებული ფენა.

ყველა ამ სამს წარმოვადგენ მე, მაგრამ სააკაშვილი რისი სააკაშვილია, თუ ყაჩაღურად არ გადააგდებდა ამ ნამდვილ ბენეფიციარებს?

ამის შემდეგ გამოსცა მანვე კრიმინალური 108-ე ბრძანებულება, რითაც დაინიშნა ამ თანხის განაღდების ფორმების შემმუშავებელი კომისია, რომელსაც ვადა მიეცა 2006 წლის მაისამდე, რის შემდეგ მოხდა მისი სრული კრიმინალიზაცია: **ყოველ წელიწადს ხდება ამ კომისიის საქმიანობის ყოველწლიური გადავადება ისე, რომ არც ერთი კომისია ამ 8 წლის მანძილზე ერთხელაც არ შეკრებილა და ერთი ფარატინა ქაღალდიც კი არ დაუდვია ოქმის სახით.** ეს დღესაც გრძელდება და ვადა მინიშნებულია 2015 წელი.

დიახ, ბატონო ირაკლი, ეს არის სახელისუფლებო კრიმინალი, თქვენ ვერ მოუძებნით ამ მოვლენას სხვა განმარტებას. რა ხდება, თუკი ყაჩაღმა სააკაშვილმა შეძლო ნაწილი ამ თანხის გაცემა, თქვენ თქვენი სამართლიანობის აღდგენის დაპირებით რატომ ვერ შეძელით ამ სრულიად გასაგები (თავისი შინაარსის სიმარტივის გამო) სახელმწიფო გარანტიით აღებული სესხის დაფარვა, თუნდაც ისეთი ბენეფიციარებისათვის, როგორიც ვარ მე, ქართლოს ზაქარეიშვილი? ამის უკან აღარ დგას არც ერთი დღეისათვის შეძლებული ადამიანები, მათ ეს თანხები დიდი ხანია, გაინაღდეს, დარჩნენ მხოლოდ სულის მღაფავი, გაჭირვებული ადამიანები.

2013 წლის 17 დეკემბერს სასამართლომ უარი მითხრა ამ თანხის განაღდებაზე. პირველი შემთხვევა, როცა მოსამართლის ქმედებაში პრეტენზია არ შეიძლება გამაჩნდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მან ვერ დაფარა თავისი გულისტკივილი ასეთი განაჩენის გამოტანით, არადა, საქმე ეხება მომჩივანს — მარტოხელა, 83 წლის I ჯგ. უსინათლო და სმენაჩლუნგ ინვალიდს, დანარჩენ დაავადებებზე ცნობა თქვენთან მაქვს წარმოდგენილი და რომელსაც გამაჩნია 47-წლიანი შრომის სტაჟი, **მე ხომ აღარ მაქვს იმის იმედი, რომ ვიცოცხლებ 2015 წლამდე იმ ფონზე, რომ წამლის საყიდელი და ექიმთან მისასვლელი ფული არ გამაჩნია, აღარას ვამბობ, გამოკვლევებს რა თანხები სჭირდება.**

ბატონო ირაკლი, გარდა ამ 108-ე კრიმინალური ბრძანებულებისა, არსებობს ორგანული კანონის 69-ე მუხლი, რომელიც ასევე კრიმინალურია, სადაც ლაპარაკია ნაწილ-ნაწილ ამ თანხების განაღდებაზე, თუმცა, ბოლოს არის ერთი ფანჯარა, რომელსაც შეიძლება მიეცეს სხვადასხვა ინტერპრეტაცია ძლიერთაგან ამა ქვეყნისა, მაგრამ სწორედ ეს ფანჯარა იძლევა შესაძლებლობას, რომ სასურველი პირები გასტუმრებული იქნან ყოველწლიურად ამ მიზნებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხებიდან.

მე ვსვამ საკითხს ასე — **თუ ჩემი ნანატრი ხელისუფლება იყენებს თავის ძლიერებას იმისათვის, რომ მე წამართვას ჩემი ყოფნა-არყოფნის განმსაზღვრელი საკუთრება, ასეთ შემთხვევაში მან გამოიყენოს თავისი ძლიერება და გადამივადოს სიკვდილი იმ ვადით, სანამ მას არ გაუჩნდება სურვილი, რომ, ბოლოს და ბოლოს, დამიბრუნოს ჩემი 2002 წელს დასაბრუნებელი თანხა!**

მინდა, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი თქვენდამი ნდობა და პატივისცემა და, ამავე დროს, კიდევ ერთხელ მოგახსენოთ, რომ თქვენი სახელმწიფო კომისიისგან განსხვავებულად, მე მაქვს ჩატარებული მოკლე მოკვლევა, რაც სრულიად ნათელს ჰფენს ჩემი მოთხოვნის რეალურ უფლებას, ეს გახლავთ 2005 წლის სახელმწიფო სტატისტიკის სამმართველოს მიერ ჩემს სახელზე გაცემული ცნობა, სადაც პირდაპირ მინიშნებულია, რას უდრიდა 2005 წლისთვის ჩემი ობლიგაციები, ეს გახლავთ 30634 აშშ დოლარი, რომლითაც ობლიგაციების შეძენის დროს შემეძლო მეყიდა 3-ოთახიანი ბინა, დღეს კი ერთ ოთახსაც ვერ ვიყიდი.

აი, რას მიბლოკავს მე, მოხუცი, დავრდომილ ადამიანს დღევანდელი ხელისუფლება, თუმცა, მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, არ მინდა, კიდევ ერთხელ გავიდე სტრასბურგში ამ საკითხზე საჩივლელად. 2011 წლის აპრილში სააკაშვილმა გამომიგდო სარჩელი უკან თავისი უზრდელი გაფრთხილებით.

პატივისცემით

ქართლოს ზაქარეიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

როგორ იპარავდა მიშა გაზს

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სავარაუდოდ, შექმნის დღიდან, ბუნებრივ აირს უკანონოდ მოიხმარდა, — ამის შესახებ გუშინ კომპანია „ყაზტრანსგაზში“ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილმა კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

პრესკონფერენცია კომპანიის მიერ ჩატარებული რევიზიის შედეგად გამოვლენილ ბუნებრივი აირის უკანონო დატაცების ფაქტებს მიეძღვნა. მინისტრის მოადგილის განცხადებით, მალსაზ აბდუშელიშვილის ქუჩის №1-ში რეგისტრირებულ მისამართზე, რომელიც პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციის ტერიტორიაა, აღმოჩენილია ბუნებრივი აირის უკანონოდ დატაცების ფაქტი.

შპს „ყაზტრანსგაზი თბილისის“ უსაფრთხოების სამსახურის მიერ გეგმური შემოწმების შედეგად გამოვლინდა მრიცხველის გვერდით ავლით შეყვანილი გაზის მილი.

როგორც ილია ელოშვილმა განმარტა, დატაცება, სავარაუდოდ, ადმინისტრაციის შექმნის დღიდან ხდებოდა და ბუნებრივი გაზი, სასადილოსა და დამხმარე ნაგებობებს ხმარდებოდა. სავარაუდოდ, პრეზიდენტის ადმინისტრაცია თვეში დაახლოებით 5-6 000 ლარის ბუნებრივ აირს მოიხმარდა. ელოშვილის თქმით, შედგენილია ადმინისტრაციული აქტი, დალუქულია ობიექტი და მომდინარეობს იქ დადგმული სიმძლავრეების დადგენა, რათა ზუსტად განისაზღვროს ჯარიმის ოდენობა. დაკისრებული ჯარიმა სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გადაიხადოს.

მინისტრის მოადგილის თქმით, როდესაც ბედავდა პრეზიდენტის ადმინისტრაცია და იპარავდა ბუნებრივ აირს, ეს მეტყველებს იმაზე, თუ რა განუკითხაობა იყო ამ სფეროში.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, სავარაუდოდ, ეჭვი არსებობს რომ თბილისის გარშემო არსებული ფეშენებელური ვილები და სხვადასხვა კერძო ორგანიზაციები ასევე მოიხმარენ უკანონოდ ბუნებრივ აირს. კომპანია იწყებს ყველა ასეთი ობიექტის გადამოწმებას.

კომპანია „ყაზტრანსგაზის“ სპეციალურმა მმართველმა ირაკლი გაბუნიამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ ბოლო 4 თვეა კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები აწარმოებენ ობიექტების გადამოწმებას და რევიზიას, ხდება გამოვლენა უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი აირის შემთხვევების. მან მომხმარებლებს მოუწოდა თავი შეიკავონ მსგავსი ფაქტებისაგან, რადგან ადმინისტრაციული ჯარიმით დაჯარიმდებიან. მისივე თქმით, თანხის ოდენობა დანადგარების, სიმძლავრისა და სადენი მილის დიამეტრის მიხედვით დადგინდება.

საქართველო და პირველი მსოფლიო ომი

ისტორიის ნაკლებად ცნობილი ფურცლები

წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან 100 წელი სრულდება. „კაზუს ბელი“, როგორც თავად ომი, შემაზრზენი იყო. ბოსნიის სარაევოში ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი მოკლეს. ეს 1914 წლის 28 ივნისს მოხდა. სერბეთს ულტიმატუმი წაუყენეს. პატარა, მაგრამ ამაყმა მართლმადიდებელმა ქვეყანამ დახმარებისთვის რუსეთს მიმართა, რომელმაც უმალვე გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია. 31 ივლისს, 24.00 საათზე გერმანიამ რუსეთს მოსთხოვა, ერთი-ორი საათის განმავლობაში შეეწყვიტა მობილიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში... რუსეთმა ამაზე არ უპასუხა. 1914 წლის 1 აგვისტოს, 19.00 საათზე გერმანიის ელჩმა პეტროგრადში გადასცა ცნობა ომის გამოცხადების შესახებ და დაიწყო... დროთა განმავლობაში ომმა 38 სახელმწიფო მოიცვა, რომელთა მოსახლეობაც კოლონიებთან ერთად 1,5 მილიარდ ადამიანს შეადგენდა. და გახდა ყველაზე დაუნდობელი.

ამ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტაში ჩათრეული აღმოჩნდა ჩვენი პატარა საქართველოც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. მოვლენები ელვისებურად ვითარდებოდა. 20 ოქტომბერს შეიქმნა კავკასიის ფრონტი, რომელსაც სათავეში კავკასიის არმიის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ი.ი.ვორონცოვ-დაშკოვი ჩაუდგა. შტაბის უფროსად ინფანტერიის გენერალი ნ.ნ.იუდენიჩი დაინიშნა. 1914 წლის 2 ნოემბერს რუსეთმა ოტომანთა იმპერიას ომი გამოუცხადა. ეს იყო თურქეთთან მეათე ომი, რომელშიც საქართველო მონაწილეობდა რუსეთის შემადგენლობაში. 25 ნოემბერს ტფილისში უზარმაზარი ამალით იმპერატორი ნიკოლოზ II ჩამოვიდა. ეს რუსი თვითმპყრობელის უკანასკნელი ვოიაჟი იყო საქართველოში.

გმირულ საქართველოს, რომელიც, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის, გენერალ-ლეიტენანტ ირაკლი ჯორჯაძის (1917-1992 წ.წ.) გამოკვლევების თანახმად, მთელი თავისი სამიათასი წლის ისტორიის განმავლობაში, მუდმივ ომებსა და ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის და მართლმადიდებლობის შენარჩუნებისთვის ბრძოლებში იყო ჩართული, მხოლოდ რამდენიმე ათეული წელი ჰქონდა მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობა. ქართველი მეომრები ყოველთვის და ყველგან გამოირჩეოდნენ სიმამაცით, გამძლეობითა და საზრიანობით. გვყავდა ასობით სახელგანთქმული ქართველი სარდალი, გენერალი, ოფიცერი, ათასობით მეომარი არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის არმიაში...

ომის პირველი დღეებიდანვე დაიწყო საყოველთაო მობილიზაცია, იგი ისეთი მაღალი ენთუზიაზმით მიმდინარეობდა, რომ ქვეყანაში არ დარჩა ოჯახი, რომელსაც ფრონტისთვის მებრძოლი არ მიეცა. ამის შესახებ შემონახულია გამოჩენილი ენათმეცნიერის (იცოდა თითქმის 60 ენა), მსოფლიო სახელის აკადემიკოსის, ჩვენი თანამემამულის ნიკო მარის (1864-1934 წ.წ.) მოგონებები. იმ პერიოდში ის საქართველოში იმყოფებოდა. ქუთაისის გიმნაზიის კურსდამთავრებული, დედით ქართველი ნიკო მარი კავკასიაში აწარმოებდა განსაკუთრებულ სამეცნიერო გამოკვლევებს, რომლებიც მეტად გამოადგა კავკასიის არმიას საბრძოლო მოქმედებების პერიოდში. სწორედ ამ მიღწევებისთვის 1916 წელს ნიკო მარს გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს. სხვათა შორის, ნიკო მარის უფროსი შვილი – გიორგი 1915 წელს თურქებთან გააფთრებულ ბრძოლაში დაიღუპა.

სამწუხაროდ, დღემდე არა გვაქვს ზუსტი ცნობები იმ ქართველი მეომრების რაოდენობის შესახებ, რომლებიც დაიღუპნენ ომში ან უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ მეორე მსოფლიო ომის წლებში. ამ დროს სამხედრო ისტორიკოსები და სპეციალისტებიც კი მუდმივად იყენებენ სიტყვებს: „მეტი“, „დაახლოებით“. არის ათობით ქვეყანა, სადაც ეს სამწუხარო სტატისტიკა არის ასპროცენტიანი სიზუსტისა! მაგალითად ისრაელის სახელმწიფოც გამოდგება!

და აქ რაღა უნდა ილაპარაკო პირველი მსოფლიო ომის მონაცემებზე. წინ მიდევს ცალკეული საენციკლოპედიო ტომი „საქართველოს სსრ“, რომელიც ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ მოამზადა. ზუსტი ცნობები აქ არ არის. მომყავს მონაცემები საქართველოს ქართველი მოსახლეობის შესახებ პირველი მსოფლიო ომის წინ: 1913 წელს იგი 2.600.400 კაცს შეადგენდა, მათგან მამაკაცი 665.900 იყო. პირველი მსოფლიო ომის წლებში გაწვევის ასაკი 21-დან 43 წლამდე იყო. გაზეთ „საქართველოს“ 1915 წლის 20 ივნისს მოჰყავს ცნობები საქართველოდან 200.000 კაცის გაწვევის შესახებ, ომი კი 1918 წლის შემოდგომამდე გრძელდებოდა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველ მსოფლიო ომამდე რუსეთის არმიის შემადგენლობაში ათობით ათასი ქართველი ჯარისკაცი მსახურობდა. ყველაზე ფრთხილი დაანგარიშებით გამოდის, რომ პირველი მსოფლიო ომის წლებში ომში საქართველოს 285 ათასზე მეტი მცხოვრები მონაწილეობდა, ეს კი ნიშნავს, რომ მისი მოსახლეობის მამაკაცების თითქმის 43 პროცენტი რუსეთის არმიაში იმყოფებოდა. პირველი მსოფლიო ომის ყველა ფრონტზე საქართველოს 49 გენერალი და ასობით ოფიცერი იბრძოდა. პრაქტიკულად, საქართველოს თითქმის ყველა ბრძოლისუნარიანი მცხოვრები ებრძოდა რუსეთის იმპერიის მტრებს.

1914 წლის 29 ოქტომბერს ომში გერმანია-ავსტრიის ბლოკის მხარეზე ჩაერთო თურქეთი. ფრონტი წარმოიქმნა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ მესოპოტამიაშიც, სირიისა და პალესტინის აღმოსავლეთ საზღვრებზე. მაშინ უზარმაზარი როლი შეასრულა გენერალ-ლეიტენანტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, რომელიც თავისი საექსპედიციო კავალერიის კორპუსით შევიდა ჩრდილოეთ ირანში და ამრიგად თავიდან ააცილა რუსეთს ირანის ჩართვა ომში მის წინააღმდეგ.

მაშინ რუსეთის კავკასიური არმია 103 ათას კაცს ითვლიდა, რუსეთის მთელი არმია კი – 1,5 მილიონს. მობილიზაციის შემდეგ ეს ციფრი 5,5 მილიონ კაცამდე გაიზარდა. ქართულმა ლეგიონმა პირველი საბრძოლო ნათლობა ნოემბერში თურქეთის ქალაქ არტაანის აღების დროს მიიღო. შემდეგ კი იყო სარაკამიშლის დიდი ოპერაცია, რომელიც 1914 წლის 22 დეკემბერს დაიწყო და დამთავრდა კავკასიის არმიის გამარჯვებით 1915 წლის 5 იანვარს. სერიოზული დანაკარგები განიცადა თურქეთის მე-3 არმიამ, რამაც ხელი შეუწყო საბრძოლო მოქმედებათა გადატანას თურქეთის სიღრმეში, გაცილებით უფრო სამხრეთით საქართველოს საზღვრიდან.

ამ საბრძოლო ოპერაციაში ქალაქ სარაკამიშლის მახლობლად მოხდა გამაოგნებელი შემთხვევა, რომლის გმირიც ჩვენი თანამემამულე ტარასი დავითის ძე ვაშაკიძე გახდა. ის ამჟამინდელ ხონის რაიონის სოფელ დიდ გუბში 1873 წლის 8 ივნისს დაიბადა. ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1895 წელს ის დერბენტის 154-ე პოლკის პრაპორშჩიკად დაინიშნა, ხოლო უკვე 1913 წელს ასეულის უფროსი გახდა. სარაკამიშლის ოპერაციის პერიოდში, რომელშიც რუსეთის მხრიდან 72 ბატალიონი და 43 ასეული, თურქეთის მხრიდან კი შესაბამისად – 82 და 22 მონაწილეობდა, თურქეთის არმია გადავიდა შეტევაზე, მაგრამ რუსეთის არმიის საბრძოლო სულისკვეთებამ, სადაც ძალიან ბევრი ქართველი მებრძოლი იყო, გაუძლო მტრის შემოტევას, მალე თავად გადავიდა შეტევაზე, გარს შემოერტყა და ტყვედ აიყვანა მისი მთავარი ძალები. არავის სჯეროდა, რომ ეს სასწაული მოახდინა ერთმა ადამიანმა რამდენიმე ათეული მამაცი მეომრით. და ეს ადამიანი გახლდათ კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე, რომელმაც შეძლო ტყვედ აეყვანა თურქეთის მე-3 არმიის მე-9 კორპუსის მეთაურთა მთელი შემადგენლობა. ესენი იყვნენ კორპუსის მეთაური ისხან-ფაშა, დივიზიების სამი კომისარი თავიანთი შტაბებით, ათობით ოფიცრით და... 1306 ასკერით (თურქი ჯარისკაცით). ამას გარდა ტარასი ვაშაკიძემ თავისი მამაცი ჯარისკაცებით წამოიღო 8 ქვემეხი, 24 ტყვიამფრქვევი, საჭურველის დიდი ოდენობა, მასრები და ა.შ. იმ დროს ტარასი ვაშაკიძესთან ერთად დაზვერვაში 128 ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი იყო!

ტარასი ვაშაკიძე

ალექსი ბრუსილოვი

როდესაც ამის შესახებ ტყვედ აყვანილმა თურქმა ისხან-ფაშამ გაიგო, გაბრაზებულმა მაგიდას ხელი დაარტყა და წამოიყვირა: „შაითან-კაპიტან“ („ეშმაკი-კაპიტანი“). ამბობენ, რომ როდესაც ამ ფაქტის შესახებ მოახსენეს იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს, მან ღიმილით სახეგაბრწყინებულმა რამდენჯერმე ითხოვა გამეორებით ეამბნათ მისთვის ეს ამბავი. იმ საათშივე გამოიცა ბრძანებულება ტარასი ვაშაკიძის დაჯილდოების შესახებ რუსეთის იმპერიის უმაღლესი საბრძოლო ჯილდოთი – წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით: ცნობა კავკასიის არმიის გმირის შესახებ მივიდა საფრანგეთის პრეზიდენტამდეც, რომელმაც სასწაულებრივი კაპიტანი საფრანგეთის უმაღლესი საბრძოლო მედლით დააჯილდოვა, რომლითაც ტ.ვაშაკიძემდე რუსეთში მხოლოდ იმპერატორი ნიკოლოზ II დააჯილდოვეს. მალე ჩვენმა თანამემამულემ მიიღო პოლკოვნიკის წოდება, ვიცე-პოლკოვნიკის წოდების გაუვლელად. ჩვენი საუბარი ტ.ვაშაკიძის გასაოცარ გმირობასა და გამჭრიახობაზე სრული არ იქნებოდა, თუ მის მომავალ ბედზეც არაფერს ვიტყოდით.

ომის, რევოლუციის დამთავრების შემდეგ პოლკოვნიკი ტ.ვაშაკიძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში გახდა გენერალი. წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის გმირი აღარავის სჭირდებოდა. მშობლიური საქართველოდან წასვლა, როგორც ეს ბევრმა გააკეთა, მან არ ისურვა. გაჭირვებამ აიძულა ეძებნა სამუშაო. ბატონი ტარასი, როგორც ნიჭიერი და მეტად წესიერი ადამიანი, სამუშაოდ საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში მიიწვიეს. სამწუხაროდ, სისხლიანი 1937 წელი საბედისწერო აღმოჩნდა ადამიანისთვის, ვისი გმირობის ამბავიც ლამის მთელმა მსოფლიომ იცოდა. მაშინ გმირი სულ რაღაც 46 წლისა იყო...

ახლა, პატივცემულო მკითხველო, გადავინაცვლოთ დასავლეთის ფრონტზე, სადაც პირველი მსოფლიო ომის მთავარი მოვლენები ვითარდებოდა. ბუნებრივია, ჩვენ შევეხებით ძირითად მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს თანამემამულეებთან, რომელთა გმირობაც არ ფერმკრთალდება 100 წლის შემდეგაც კი. უწინარეს ყოვლისა, ბუნებრივია, ჩვენ გვაინტერესებს გმირული საქმეები ლეგენდარული გრენადის მე-14 ქართული პოლკისა, რომელიც კავკასიის მე-2 არმიის კორპუსის შემადგენლობაში შედიოდა (მაშინ რუსული დივიზია 18000 კაცს ითვლიდა). მასში ასევე ბევრი ჩვენი თანამემამულე იბრძოდა. მეტად საინტერესოა გრენადის მე-14 ქართული პოლკის ისტორია, პოლკისა, რომელიც პეტრე პირველის განკარგულებით 1700 წლის 25 ივნისს შეიქმნა, ვინაც, სხვათა შორის, ყოველივე ქართულს თაყვანს სცემდა. ქართველი გენერლები მონაწილეობდნენ ჩრდილოეთის ომში, სპარსეთის ლაშქრობაში (მაშინ, 1722 წელს პეტრე პირველსა და ვახტანგ VI-ს შორის დაიდო სამხედრო კავშირი, და განსაკუთრებული ვითარება საშუალებას არ აძლევდა რუსეთის პირველ იმპერატორს ჩამოსულიყო საქართველოში), საკმარისია ითქვას, რომ ბრძოლებში სპარსეთის, თურქეთის წინააღმდეგ, ყირიმისა და ბევრ სხვა ომში ათი მისი მეთაური და ოფიცერი გიორგის ორდენების კავალერი გახდა, მათ შორის იყვნენ მამა-შვილი გაბრიელ და აკაკი ოთხმეზურები. სხვათა შორის, გიორგის ორდენის ყველა ხარისხი მემკვიდრეობითი აზნაურობის უფლებას იძლეოდა!

გრენადის მე-14 ქართული პოლკი ომის დაწყებიდანვე მონაწილეობდა პირველ, მეათე და მეცამეტე არმიების ოპერაციებში მდინარე ნემანზე, ბზურსიზე, კრევლენკაზე, ნაროჩის ტბაზე, ქ.სმორგონთან და სხვ.

შევჩერდები საშინელ ბრძოლებზე სმორგონისთვის, რომელიც მინსკიდან 115 კილომეტრშია. აქ მოხდა იმ ომის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ბრძოლა. მოვიდა ბრძანება: „ადგილზე იყავით სიკვდილამდე! არც ერთი ნაბიჯი უკან! ჩვენს უკან რუსეთია!“. რუსეთის ჯარების სხვა ნაწილებთან ერთად გერმანელების წინააღმ-

პირველი მსოფლიო ომი

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი

ივანე ყაზბეგი

ალექსანდრე გრიგოლის ძე კონიაშვილი

ზაქარია დიმიტრის ძე ბაქრაძე

დეგ, თავგანწირულად იბრძოდნენ კავკასიის მე-2 არმიის მებრძოლები, სადაც გრენადის მე-14 ქართული პოლკის გარდა შედიოდნენ ტფილისის მე-15, სამეგრელოს მე-16, ლეიბ-ერივანის მე-13 პოლკები. ვინ იტყვის დღეს, რამდენი ჩვენი თანამემამულე დაეცა ბელარუსის მიწაზე. მხოლოდ 1915 წლის 25 სექტემბერს, ერთ დღეს, ხიშტებით შეტევაში 5500 გერმანელი და 3500 რუსი გვარდიული პოლკის ჯარისკაცი დაეცა. ყველა ბრძანების დარღვევით დაიდო შეთანხმება ბრძოლების შეწყვეტის შესახებ, რათა აეკრიფათ დახოცილები და დაჭრილები ბრძოლის ველიდან ვილისთან (დღეს აქ ვილის დიდი წყალსაცავია). ეს იყო უპრეცედენტო ფაქტი. სმორგონს შემდეგ „მკვდარ ქალაქს“ უწოდებენ: იგი მთლიანად დაანგრიეს და გადაწვეს.

პოლკი მამაცი მეთაურის აკაკი ოთხმეზურის სარდლობით უკვე რამდენიმე დღე და ღამე აწარმოებდა გააფთრებულ ბრძოლას, მოწინააღმდეგეს წინწაწევის საშუალებას არ აძლევდა. სწორედ აქ გრენადის მე-14 ქართული პოლკის წინააღმდეგ, გერმანელებმა, პირველად მსოფლიოში, გამოიყენეს ქიმიური იარაღი-ქლორი. ეს მოყვითალო-მომწვანო გაზი მკვეთრი სუნით იწვევდა ხუთვას, ქლორის მაღალი კონცენტრაციის დროს კი – ელვისებურ სიკვდილს. მომწამლავ ნივთიერებას–იპრიტს გერმანელები იყენებდნენ მოგვიანებით, ორი წლის შემდეგ. გერმანელთა პირველი საგაზო შეტევა 1915 წლის 12 ოქტომბერს მოხდა. მას შემდეგ საგაზო შეტევები ჩვეულებრივ საბრძოლო მოქმედებების რანგში შევიდა.

1916 წლის დასაწყისში სადგურ სმორგონთან სასიკვდილოდ მოიწამლა კავკასიის საგრენადო დივიზიის 3000 ჯარისკაცი. გერმანელები შეტევაზე გადავიდნენ აირწინაღებში, ცალ ხელში შაშხანებითა და მეორეში – ლურსმნებით დაჭედილი კეტებით, რათა ბოლო მოეღოთ მოწამლულებისთვის. მაგრამ ქართველი გრენადერების სიმტკიცის წყალობით მათ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ბელარუსში, ქ.სმორგონის ადგილობრივ მუზეუმში მე მქონდა შესაძლებლობა გავცნობოდი მოგონებებს ცნობილი მწერლის ქალიშვილის ალექსანდრა ტოლსტაიასი, რომელიც იმ ხანებში საფრონტო ჰოსპიტლის გამგე იყო. ის აღწერდა საგაზო შეტევების საშინელებებს: „... გაზის ღრუბელში პოლკის მამაცმა მეთაურმა, პოლკოვნიკმა აკაკი ოთხმეზურმა მოიხსნა გაზსაწინააღმდეგო ნიღაბი, მის მაგალითზე დანარჩენმა ოფიცრებმაც მიბაძეს. დაღუპვის პირას მდგარმა პოლკმა მოიგერია შეტევა. დაიღუპა ქართველ გრენადერთა უმრავლესობა, დაიღუპა მათი ლეგენდარული მეთაურიც“.

აკაკი ოთხმეზური დაიღუპა 1916 წლის 20 ივლისს, 42 წლის ასაკში. სიკვდილის შემდეგ ის წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. საბედნიეროდ, ბელარუსი ხალხის წყალობით, გმირის საფლავი ქ.სმორგონში მონახეს და კეთილმოაწყვეს.

პირველი მსოფლიო ომის ისტორიაში ცალკე, გმირულ ფურცლად შევიდა, სამხედრო ისტორიკოსების განსაზღვრით, ბრწყინვალე ოპერაცია, რომელიც შეიმუშავა და განახორციელა ჩვენმა სახელგანთქმულმა თანამემამულემ ალექსი ალექსის ძე ბრუსილოვმა. ის ტფილისში 1853 წლის 19 აგვისტოს დაიბადა, იქვე დაიბადა მისი სამივე ძმა. დაობლებული ძმები თავის ოჯახში გადაიყვანა ბიძამ, ქუთაისში მცხოვრებმა სამხედრო ინჟინერმა. მათ ბრწყინვალე დაწყებითი განათლება მიიღეს. სხვათა შორის, ერთ-ერთი ძმა – ლევ ბრუსილოვი რუსეთის ფლოტის ვიცე-ადმირალი გახდა, ის ომამდე ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა.

ალექსი პაჟუთა კორპუსში სწავლობდა, ორი წლის შემდეგ იძულებული გახდა კვლავ დაბრუნებულიყო ქუთაისში, ბიძასთან. რეპეტიტორების დახმარებით სწავლობდა გამოტოვებულ გაკვეთილებს და ბრწყინვალედ დაამთავრა პაჟუთა კორპუსი. სამხედრო კარიერა დაიწყო ტვერის დრაგუნთა მე-15 კორპუსში, რომელიც დისლოცირებული იყო ქუთაისის მახლობლად. ა.ა.ბრუსილოვმა კარგად იცოდა ქართული ენა, მეგობრობდა ბევრ ქართველთან. 47 წლისა გენერალ-მაიორი გახდა, ექვსი წლის შემდეგ – გენერალ-ლეიტენანტი, ხოლო 1912 წლის 6 დეკემბერს – კავალერიის გენერალი. მაშინ ის ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწე გახდა. ოლქს 1897 წლიდან სიკვდილის უკანასკნელ დღემდე – 1911 წლის 18 ნოემბრამდე – სარდლობდა ლეგენდარული ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი, რომელიც, სხვათა შორის, რუსეთისა და უცხოეთის ყველაზე მეტი ორდენით იყო დაჯილდოებული (სულ 23), მათ შორის ორი წმინდა გიორგის ორდენი იყო!

გალიჩისა და ლვოვისთვის ბრძოლებში ჯარების შესანიშნავი სარდლობისთვის ა.ა.ბრუსილოვი დაჯილდოვეს წმინდა გიორგის IV და III ხარისხის ორდენებით. მალე მან პერემიშლის შეტევითი ოპერაცია განახორციელა, რისთვისაც გენერალ-ადიუტანტის საპატიო წოდება დაიმსახურა. 1916 წლის მარტში ჩვენ თანამემამულეს სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის სარდლად ნიშნავენ. 22 მაისს ბრუსილოვის ჯარები გადავიდნენ შეტევაზე ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით, გაარღვიეს მტრის დაცვა 550 კილომეტრის ზოლში და 150 კილომეტრის სიღრმეში. ეს იყო დიდი წარმატება, რომელმაც მთელი ომის მსვლელობაზე იქონია გავლენა. ამ ოპერაციამ მიიღო „ბრუსილოვის გარღვევის“ სახელწოდება, რომელიც 71 დღის შემდეგ – 1916 წლის 31 ივლისს დამთავრდა. მტერმა დაკარგა დაახლოებით 1,5 მილიონი კაცი, ტყვედ აიყვანეს 8.924 ოფიცერი და 408.000 ჯარისკაცი, ხელში ჩაიგდეს 581 ქვემეხი და 1.795 ტყვიამფრქვევი. რუსების დანაკარგები იყო 500 ათასი კაცი, ე.ი. სამჯერ ნაკლები. ამ ოპერაციისთვის ალექსი ბრუსილოვი დაჯილდოვეს გიორგის იარაღით, რომელიც ბრილიანტებით იყო შემკული. მთავარ ბანაკში მისი აშკარად შურდათ და არ წარადგინეს წმინდა გიორგის II ხარისხის ორდენზე, რომლითაც ომის დაწყებიდან მხოლოდ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და ორი გენერალი –ნ.ნ.ივანოვი და ნ.ვ.რუზსკი დაჯილდოვეს.

ამ ომში თავი გამოიჩინეს საქართველოს ქალებმაც. ისტორიამ შემოგვინახა ლეგენდარული ნინო ჯორჯაძის სახელი, რომელიც სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იყო. ის ომის პირველი დღეებიდანვე წავიდა ფრონტზე მოწყალების დად. ომის უმძიმეს დღეებში ავლენდა გმირობის სასწაულებს და დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის ოთხივე ხარისხის ჯვრით. იგი ამ მხრივ მეორე იყო მთელი რუსეთის იმპერიაში.

1917 წლის 26 მაისს ალექსი ალექსის ძე ბრუსილოვი რუსეთის მთელი შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად დაინიშნა.

ჩვენი მკითხველისთვის უინტერესო არ იქნებოდა გასაოცარი ფაქტი: რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის მთელი ისტორიის განმავლობაში ათი უმაღლესი მთავარსარდალი იყო. მათგან ორი, ყველაზე ჭკვიანი და ბრწყინვალე სარდალი ჩვენი თანამემამულე იყო – ალექსი ალექსის ძე ბრუსილოვი და იოსებ ბესარიონის ძე სტალინი!!!

გრანდიოზულ „ბრუსილოვის გარღვევაში“ ბევრი ქართველი გენერალი, ათობით და ასობით ოფიცერი და ჯარისკაცი მონაწილეობდა,ზოგიერთმა კი მისი მიმდინარეობის დროს მიიღო გენერლის წოდება, როგორიცაა, მაგალითად, ზაქარია დიმიტრის ძე ბაქრაძე – მინსკის ქვეითი პოლკის მეთაური. წმინდა გიორგის III და IV ხარისხის ორდენების კავალერი. გენერალ-მაიორი ბაქრაძე გამაოგნებელი ბედის ადამიანი იყო. ივანე ყაზბეგთან და კირილე ქუთათელაძესთან ერთად ზაქარია ბაქრაძე გახდა გენერალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში, წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ – პოლონეთის არმიის გენერალი. ყველა მათგანი პოლონეთში ტრაგიკულად დაიღუპა. ისინი ერთადერთნი არიან საქართველოში, ვინც სამი სახელმწიფოს გენერალი გახდა!

ომის კიდევ ერთი გმირია „ბრუსლოვის გარღვევის“ აქტიური მონაწილე, გენერალ-ლეიტენანტი გიორგი ბეჟანის ძე ანდღულაძე, გმირი და მწუხარე ბედის ადამიანი. როდესაც ჩემს მთავარ წიგნზე „გენერლები საქართველოდან“ ვმუშაობდით, როგორც ამბობენ ხოლმე, მონაცემებს ვეძებდი ლამის მთელ მსოფლიოში: მასალები საქართველოში საკმარისი არ იყო, ომისა და იმ დროის არქივები – იყო მოსკოვში. პრობლემებს რა დაითვლიდა. მეხმარებოდნენ მეგობრები, ნაცნობები, ნაცნობთა ნაცნობები.

2002 წელს საფრანგეთიდან შემეხმიანა ანდღულაძის ვაჟიშვილი, რომელმაც შეძლო თავისი წერილი მარსელიდან პარიზში გადაეგზავნა, საქართველოს საელჩოში, დიპლომატიური ფოსტით წერილი მიაწოდეს მოსკოვში, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს. იქიდან ჩემმა მეზობელმა, საელჩოს მაშინდელმა თანამშრომელმა ლოიდ ჯიქურიძემ მე გადმომცა. და ეს მხოლოდ ერთი ამგვარი ისტორია როდია. მაგალითად, მეტად ტრაგიკულია გენერალ-მაიორ გრიგოლ ალექსანდრეს ძე კონიაშვილის ვაჟიშვილის, პირველი მსოფლიო ომის მონაწილის, რუსეთის არმიის პოლკოვნიკის, გიორგის ჯვრის კავალერის ალექსანდრეს ისტორია. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ის გახდა გენერალი, იბრძოდა სოჭის ფრონტზე, იყო ჯარების სარდალი ოსეთის მიმართულებით. 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში, მოგზაურობდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. ბოლოს არგენტინაში აღმოჩნდა, საქართველოს გამო მძიმე ნოსტალგიას განიცდიდა, შექმნა იქ ქართული ენის, ჩვენი ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შესწავლის წრე. 1951 წლის 30 აპრილს გარდაიცვალა, ის კასტელიერში დაკრძალეს, ბუენოს-აირესის მახლობლად. საფრანგეთში, რაღაც სასწაულებრივად, ვიქტორ ხომერიკმა გადმომცა ფოტო – გენერალ ალექსანდრე კონიაშვილის – გენერალ გრიგოლ კონიაშვილის ვაჟის ერთადერთი სურათი.

მაგრამ დავუბრუნდეთ გ.ბ.ანდღულაძეს. მისი შვილის წერილში იყო ფოტოგრაფიების ასლები. ერთ-ერთ მათგანზე ვკითხულობ: „ძვირფას შვილ გიგის – სახსოვრად აღდგომის დღესასწაულზე მამასთან ყოფნის აღსანიშნავად 1936 წლის აპრილში“. და იქვეა თარიღი: „23-4-1936“. გენერლის ეს ფოტოგრაფია თავის შვილთან ერთად მე გამოვაქვეყნე ჩემს წიგნში. მაშინ გენერალი 76 წლისა იყო, გიგი –15 წლის. გიგი ანდღულაძის წერილიდან გავიგე, რომ მისი სახელგანთქმული მამა დაიბადა ოზურგეთში 1866 წლის 20 იანვარს. დაამთავრა ტფილისის იუნკერთა სასწავლებელი. იყო რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე, სადაც შეხვდა „ველური“ ცხენოსანი დივიზიის ლეგენდარულ მეთაურს ივანე მაკარის ძე ორბელიანს. გამოიარა მთელი პირველი მსოფლიო ომი, სარდლობდა მე-13 ქვეითთა დივიზიას. რუსეთი 1920 წელს დატოვა გენერალ-ლეიტენანტის წოდებით. ჩავიდა კონსტანტინოპოლში (1936 წლიდან – სტამბოლი), სადაც დაინიშნა გალიპოლიის საექსპედიციო კორპუსის სარდლად, თუმცა ამაზე უარი განაცხადა. შემდეგ ცხოვრობდა ბულგარეთში. 1921 წელს მას შეეძინა შვილი გიგი. 1923 წლის 16 იანვარს გენერალი ოჯახთან ერთად გადავიდა მარსელში. სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა პარიზში, სადაც მე-13 ქვეითი დივიზიის ოფიცრებისა და ჯარისკაცების ვეტერანთა გაერთიანებას ედგა სათავეში. დაქორწინებული იყო ორჯერ. პირველი ქორწინებიდან ჰყავდა ორი შვილი – ნიკოლოზი და მიხეილი. ორივე იუნკერი იყო, დაიღუპნენ რევოლუციის დროს. გენერალი ანდღულაძე 1948 წლის 22 მარტს გარდაიცვალა და დაკრძალეს სენტ-ჟენევიევ-დე ბუას სასაფლაოზე, პარიზის მახლობლად... ასეთია ასობით, ან იქნებ ათასობით ჩვენი თანამემამულის ბედი.

ომი 4 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. ორივე მხრიდან მობილიზებული იყო 73 მილიონ 515 ათასი კაცი. საერთო დანაკარგებმა დაახლოებით 10 მილიონი კაცი შეადგინა, დაჭრილი და დასახიჩრებული კი ორჯერ მეტი იყო. რუსეთს კიდევ უფრო მძიმე ხვედრი ელოდებოდა– ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კატასტროფა! საქართველომ შეძლო, შეექმნა დემოკრატიული სახელმწიფო, მაგრამ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა სამი წლის შემდეგ დამთავრდა – 1921 წლის თებერვალში საქართველოს ოკუპაცია მოახდინეს საბჭოთა რუსეთის წითელგვარდიელებმა.

სისხლს მოწყურებულმა ადამიანურმა სამყარომ XX საუკუნეში გაიმეორა თავისი შეცდომა – 20 წლის შემდეგ დაიწყო ახალი, უფრო სისხლიანი და მასშტაბური ომი. მან 72 სახელმწიფო მოიცვა და 50 მილიონის სიცოცხლე შეიწირა...

ლევან დოლიძე,
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ევროკავშირი დაუყოვნებლივ რატომ უნდა დაეხმაროს საქართველოსა და მოლდოვას

წელიწადი — ეს ძალიან დიდი ვადაა. 2014 წლის ბოლოს საქართველო და მოლდოვა აპირებენ ხელი მოაწერონ ევროკავშირთან შეთანხმებას ვაჭრობისა და ასოციაციის შესახებ, რომელთა პარაფირებაც მათ შარშან ნოემბერში მოახდინეს ლიტვის ვილნიუსში. ორ ქვეყანას ინტესიური დახმარება დასჭირდება ევროკავშირის მხრიდან, რათა დროის ამ ხანგრძლივ მონაკვეთში ისინი კურსს არ ასცდნენ.

აღმოსავლეთევროპული პარტნიორობის ნოემბრის სამიტის წინა პერიოდში რუსეთმა ყველაფერი შესაძლებელი გააკეთა, რათა ხელი შეეშალა მოლდოვისთვის მოეხდინა შეთანხმების პარაფირება, რაც ევროკავშირთან თანამშრომლობის მექანიზმს ქმნის. მაგრამ მიუხედავად დაშინებისა სავაჭრო ემბარგოს შემოღებისა და ენერგომიწოდების შეწყვეტის შესახებ, მოლდოვის მთავრობა მტკიცედ იდგა.

რაც შეეხება საქართველოს, იქ რუსეთის ზემოქმედება გაცილებით ნაკლები იყო. მოსკოვმა პირდაპირ, ვილნიუსში სამიტის დაწყების წინ, ემბარგოც კი გააუქმა ქართული ღვინის, მინერალური წყლისა და სხვა პროდუქციის მიწოდებაზე, რომლებიც რუსეთის ბაზრისთვის იყო გათვალისწინებული.

მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა ვიქონიოთ იმის იმედი, რომ მოსკოვი უარს იტყვის თავის მცდელობაზე, ხელი შეუშალოს ამ ქვეყნებს განამტკიცონ კავშირურთიერთობანი ევროკავშირთან. როდესაც მომავალ თვეში დამთავრდება სოჭის ოლიმპიური თამაშები, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი კვლავ მიაპყრობს თავის ყურადღებას მოლდოვასა და საქართველოს, შეეცდება შეამსუბუქოს იქ საზოგადოებრივი მხარდაჭერა ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერის გეგმებზე.

მოლდოვა სუსტია, ამიტომ მოწყვლადია რუსული ზემოქმედებისგან. იურიე ლიანკეს პროევროპული მთავრობა შორსაა ერთიანობისგან. ამას გარდა, ოპოზიციაში მყოფმა კომუნისტებმა, რომლებიც ადრე მხარს უჭერდნენ ევროინტეგრაციის იდეებს, ზურგი უქციეს ამ პროექტს და ახლა უკავიათ სულ უფრო მეტად ანტიევროპული და პრორუსული პოზიციები. ევროკავშირისგან საჭირო იქნება კოლოსალური ძალისხმევა, რათა მხარდაჭერილი იქნეს ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის გეგმები.

რუსეთის ზემოქმედების ბერკეტი მოლდოვაზე — ეს ენერგორესურსებია. პატარა ქვეყანა მთლიანად არის დამოკიდებული რუსულ გაზზე. არის გაზსადენის მშენებლობის გეგმები, რომელმაც მოლდოვა უნდა დააკავშიროს ევროკავშირში შემავალ მეზობელ რუმინეთთან. მაგრამ, თუ კიდეც გადაწყდება საკითხი ამ პროექტის დაფინანსების შესახებ, მილსადენი მწყობრში ჩადგება არაუადრეს 2020 წლისა.

საქართველოსაც ბევრი გაჭირვება და პრობლემა აქვს. მიხეილ სააკაშვილის მემარჯვენე ცენტრისტული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და არაერთგვაროვანი კოალიცია „ქართული ოცნების“ შარშანდელმა თანაარსებობამ მიგვიყვანა პოლიტიკის

დესტაბილიზაციასთან ამ ქვეყანაში. შეგახსენებთ, რომ კოალიციას სათავეში ედგა ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი. როდესაც ორივე ეს ადამიანი ერთდროულად იყვნენ ხელისუფლების სათავეში, „ქართულმა ოცნებამ“ განახორციელა პოლიტიკური რეპრესიები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ. ამავე დროს, „ქართული ოცნების“ უმაღლესი ხელმძღვანელობის მისამართით გაისმოდა ბრალდებები ნათლიმამობასა და კორუფციაში.

შარშანდელი შემოდგომის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ თანაარსებობა დამთავრდა, და დღეს პრეზიდენტის პოსტი „ქართული ოცნების“ ხელთაა. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ როგორ შეუძლია ამას გააუმჯობესოს პოლიტიკური კლიმატი ქვეყანაში.

ეს ყოველივე — კარგი ახალი ამბებია რუსეთისთვის.

მართალია, ქართველების უმრავლესობა ძველებურად აქტიურად უჭერს მხარს ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაციას, რუსეთს აქვს უამრავი შესაძლებლობანი ხელი შეუშალოს ამას. მას შეუძლია გააძლიეროს თავისი კონტროლი აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რეგიონებზე, რომლებიც მის მიერ იქნენ ოკუპირებული საქართველოსთან 2008 წელს ხანმოკლე ომის შემდეგ. თუ რუსეთი დაკეტავს თავის საზღვრებს სამხრეთ კავკასიაში, ეს აუცილებლად მიგვიყვანს საავტომობილო მიმოსვლის დარღვევასთან ავტომაგისტრალზე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქ თბილისთან აკავშირებს და საქართველოს მთავრობას მოუწევს როგორმე მოახდინოს ამაზე რეაგირება.

რა შეუძლია გააკეთოს ევროკავშირს, რათა საქართველოსა და მოლდოვაში შენარჩუნებულ იქნეს ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის გეგმების მხარდაჭერა?

მას შეუძლია გადმოიტანოს ხელმოწერა უფრო ადრეული ვადით, თუმცა, ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყანა ამის წინააღმდეგ წავა. ორივე ქვეყანას ჯერ კიდევ მოუწევს დანერგონ თავიანთან ევროკავშირის უამრავი კანონი, თუმცა, იგივე შეიძლება ითქვას ბულგარეთსა და რუმინეთზეც, რომლებიც შევიდნენ ევროკავშირში შვიდი წლის წინათ.

ბრიუსელს ასევე შეუძლია დაიწყოს საჯარო კამპანია, განმარტოს ევროკავშირთან მჭიდრო კავშირების უპირატესობანი. 2007-დან 2013 წლამდე პერიოდში ევროკავშირმა მოლდოვას 526 მილიონი ევრო გამოუყო. ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობაც სულ რაღაც 3,5 მილიონი კაცია, ეს ძალიან დიდი თანხაა. რასაკვირველია, ევროკავშირს შეუძლია აცნობოს ადამიანებს იმ უპირატესობებსა და მოგებაზე, რასაც ეს სახსრები იძლევიან.

მაგრამ მოლდოველებისა და ქართველებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის, უფრო მნიშვნელოვანი იქნება შესაძლებლობა დაუბრკოლებლივ იმოგზაურონ ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში. არანაკლები მნიშვნელობა აქვს უმაღლესი განათლების ევროპული პროგრამების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას, რომელმაც რაც შეიძლება მეტი სტუდენტი უნდა მიიზიდოს. უნდა განვითარდეს გაცვლები სკოლებს, უნივერსიტეტებსა და სპორტულ კლუბებს შორის. ეს არ არის მარტივი საქმე, მაგრამ შესაძლებელია.

ევროკავშირმა ასევე აქტიურად უნდა გამოიყენოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განსაკუთრებით ტელევიზია, რადიო და ინტერნეტი. მან უნდა მოაწყოს ინტერვიუები ახალგაზრდებთან, ვთქვათ, პოლონეთიდან და ბალტიის ქვეყნებიდან, იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ეს — გქონდეს შესაძლებლობა ისწავლო, იმუშაო და იმოგზაურო ევროკავშირში.

თავისუფალი გადაადგილება ყველა თაობისთვის იქნება სასარგებლო. შეხედეთ, რა ხდება რუსეთის კალინინგრადის ოლქში, რომელსაც საერთო კავშირი აქვს ევროკავშირის წევრ პოლონეთთან და ლიტვასთან.

პოლონეთსა და რუსეთს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ კალინინგრადის ოლქის მცხოვრებლებმა 2012 წლიდან მიიღეს შესაძლებლობა ჩავიდნენ პოლონეთში უვიზოდ. „შეგიძლიათ ამის წარმოდგენა? კალინინგრადის ოლქში სულ რაღაც მილიონნახევარი კაცი ცხოვრობს, — უთხრა კარნეგის ევროპის ცენტრს პოლონეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ადამ დანიელ როტფელდმა. — მაგრამ შარშან პოლონეთში ექვსი მილიონი კაცი ჩავიდა. ზოგი იქ ჩადის საყიდლებისთვის, ზოგი — კონცერტებზე, ზოგი კი, უბრალოდ, დასათვალიერებლად. და ეს უზარმაზარი წარმატებაა“.

უწინარეს ყოვლისა, ევროკავშირმა ადგილზე მომუშავე დიპლომატებს უნდა მიანიჭოს მოქმედებათა სრული თავისუფლება ადამიანებთან მუშაობაში. ახლა არ არის საჭირო ღია კარის მტვრევა, არამედ საჭიროა ყოვლისმომცველი მუშაობა. ეს ნიშნავს, რომ საჭიროა მოვუსმინოთ და ვესაუბროთ პრორუსულ და ანტიევროპულ პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებს. ევროკავშირმა ყველა ძალისხმევა უნდა მოახმაროს ასოციაციის შესახებ შეთანხმების პოპულარიზაციას, სანამ ეს დაგვიანებული არ არის.

ჯუდი დემპსი

CARNEGIE ENDOWMENT

სააკაშვილი იარაღის ვაჭრობაში ეჭვმიტანილ თანამებრძოლს გამოექომაგა

საფრანგეთში 23 იანვრისთვის დანიშნული საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის სასამართლო პროცესი გვპირდება, რომ გადაიზრდება საერთაშორისო მასშტაბის სკანდალში მისი იარაღით არალეგალურ ვაჭრობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 16 იანვარს განაცხადა, რომ უკვე „გამოვლინდა შოკისმომგვრელი ფაქტები“. მისი სიტყვებით, გამოძიებაში ჩართულია საქართველოს მრავალი დასავლელი პარტნიორი, თბილისმა ასევე ყველა საჭირო ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით გადასცა პარიზს. ამავე დროს, ღარიბაშვილს გაუჭირდა ეთქვა, საჭირო იქნებოდა თუ არა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკითხვა, რომელიც ამჟამად ლექციებს ამერიკის შეერთებულ შტატებში კითხულობს.

საქართველოს მართვის სტრატეგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პეტრე მამრაძემ, რომელიც 13 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მეთაურის კანცელარიისა და მთავრობის აპარატს ედგა სათავეში, ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ არის ორი მიზეზი, რომელთა გამოც სააკაშვილი ცდილობს დაიცვას თავდაცვის ექსმინისტრი.

— კეზერაშვილმა ყველაფერი იცის პარტიული ხაზინის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ შემოდიოდა იქ ფინანსები, მათ შორის, ყოფილი ხელისუფლების მიერ ტერორიზებული ბიზნესმენებისგანაც, — თქვა მამრაძემ. **— რაც შეეხება იარაღით ვაჭრობას, კეზერაშვილი — იმის პირდაპირი მოწმეა, თუ პირადად სააკაშვილი როგორ გასცემდა განკარგულებას ამასთან დაკავშირებით. ეს ყოველივე მეტად სახიფათოა თავად სააკაშვილისთვის, რომელიც ასევე შეიძლება გახდეს ხმამაღალი საიარაღო სკანდალის ფიგურანტი.**

მამრაძემ შეგვახსენა, რომ შარშან ოქტომბერში საფრანგეთის ორგანოების მიერ კეზერაშვილის დაპატიმრების შემდეგ სააკაშვილი პირადად ჩავიდა პარიზში ექსმინისტრის დაცვის საძიებლად.

— არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა საფრანგეთში სააკაშვილის შეხვედრა ამ ქვეყნის ექსპრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან, — განაცხადა მამრაძემ.

წინა დღით საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ იმის შესახებ, რომ კეზერაშვილი ეჭვმიტანილია მეწარმე ვიქტორ ბუტთან საეჭვო კავშირებში, პიროვნებასთან, რომელსაც იარაღის უკანონო ვაჭრობისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში 25 წლით პატიმრობა მიესაჯა.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

კიევში „ევრომაიდანზე“ უკვე მეორე ცხედარი აღმოაჩინეს

უცნობი მამაკაცის სხეული გარდაცვალების ძალადობის კვალის გარეშე აღმოაჩინეს პროფკავშირების ფედერაციის შენობაში, სადაც ოპოზიციის შტაბია. დოკუმენტები გარდაცვლილს არ აღმოაჩნდა. უფრო ადრე მაიდანზე აღმოაჩინეს ყოფილი პატიმრის ცხედარი, რომელიც ტუბერკულოზისგან გარდაიცვალა.

* * *

უკრაინაში განხილვის გარეშე მიიღეს სკანდალური კანონები, რომლებიც მას „პოლიციური დიქტატურის“ ძვეშნად აძცევს

განსაკუთრებით ოდიოზურია სიახლეები — ესაა ცვლილებები კანონში „სასამართლოს მოწყობისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ მოქალაქეთა უშიშროების დაცვის დამატებითი ზომების შესახებ. ფაქტობრივად, დებულებები ამკაცრებენ ქვეყნის კანონმდებლობას სხვადასხვა სფეროში — მიტინგების დაწყებიდან ტელეფონისთვის სიმ-ბარათების ყიდვამდე.

* * *

„ჟენევა-2“-ის წინ ლავროვმა მოუწოდა დამასკოს, არ აპყვეს პროვოკაციებს, ოპოზიციაში კი შესთავაზეს მისი გადადება

საერთაშორისო კონფერენცია სირიაში მოწესრიგების შესახებ დაგეგმილია 22 იანვრისთვის შვეიცარიის მონტრიოში. იმედები წარმატებაზე საკმაოდ მერყევია. სირიის ოპოზიციის საშინაო დაჯგუფებები აცხადებენ ფორუმის ბოიკოტის შესახებ, მთავარი კი, რაზეც ძირითად აქცენტს აკეთებენ დასავლეთის ქვეყნები, ვერაფრით ვერ განსაზღვრულა. ეს აშინებს მოსკოვს, სადაც მიმდინარეობს რუსეთის ფედერაციისა და სირიის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკება.

* * *

კალიფორნიაში ტყის ხანძრის გამო დაახლოებით 7 ათასი კაცის ევაკუაცია მოხდა

ხანძარი, რომელიც ორი დღის წინათ გაჩნდა, ვრცელდება ლოს-ანჯელესის ოლქში და ემუქრება ქალაქ გლენდორას. ცეცხლისთვის საბრძოლველად გადასროლილია 7 ათასი სახანძრო და რამდენიმე ათეული შვეულმფრენი და თვითმფრინავი. პოლიციამ ხანძარში სამი ეჭვმიტანილი დააკავა.

თინას მორალი,

ანუ წინ – ცივილიზებული ველურობისაკენ

გული მიგრძნობს, ვინმე აუცილებლად იკითხავს, ცივილიზებული ველურობა, ნეტავი, რა არისო. არ მიკვირს ამგვარი დაეჭვება, რადგან ჩვენშიც და სხვაგანაც, მეტწილად, ერთმანეთთან აიგივებენ ცივილიზაციასა და კულტურას. არადა, ცივილიზაციასა და კულტურას, სინამდვილეში, ისეთივე კავშირი აქვთ ერთმანეთთან, როგორც ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ასტრონომიის მეცნიერებასთან. აი, რას ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე კარგი მცოდნე ორტეგა ი გასეტი: აშშ-ს უმაღლესი ტექნოლოგიური მიღწევების უკან პირველყოფილი საზოგადოებაა ამოფარებულიო. გასეტი დიდი მოაზროვნეა და უნდა ვენდოთ.

ა, ბატონო ცივილიზაციისა და კულტურის თანაარსებობის (თუ შეუთავსებლობის) მაგალითი!

პირველყოფილი საზოგადოება ძალიან ახლოა ველურობასთან (თუ მთლად ველურობა არ არის!). ამიტომ, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება ველური და კულტურული საზოგადოების განმასხვავებელი ნიშნები გავიხსენოთ.

დღემდე ასეა მიჩნეული: ველურის ქცევას თვითგადარჩენისა და შთამომავლობის შენარჩუნების მოთხოვნილება განსაზღვრავს, კულტურული ადამიანისას კი – ზნეობა. ბიბლიურ მინიშნებას თუ გავიხსენებთ, აშკარაა, რომ ადამი სოციალურ არსებად იმის შემდეგ იქცა, როცა სირცხვილის გრძნობა გაუჩნდა. გახსოვთ, ალბათ, ედემის ბაღში ცნობადი ხის ნაყოფი რომ შეჭამა, თავისი სიშიშვლე შეიცნო მაშინ, შერცხვა და უფლის გამოჩენისას ბუჩქებს ამოეფარა.

სრულიად უდავო იყო ჩვენს დრომდე, რომ სირცხვილის გრძნობა ადამიანური ზნეობის საფუძველთა საფუძველია. ამას ეფუძნება პასუხისმგებლობის, ერთგულების, მოვალეობისა და სხვა სოციალური გრძნობები. სწორედ სოციალურ გრძნობათა ერთობლიობა აქცევს ადამიანის ნაშიერს ადამიანად. ახალდაბადებული ბავშვი ჯერ კიდევ არ არის ადამიანი, იგი ადამიანად სოციალურ თვისებათა შეძენის კვალობაზე იქცევა, თორემ იმთავითვე მგლებში ან მაიმუნებში თუ გაიზარდა, მგელი ან მაიმუნი იქნება მაშინ. ამაში მცოდნე ადამიანებს ეჭვი არ ეპარებათ. აკი ამბობდა კიდეც დიდი გერმანელი ფილოსოფოსი იმანუილ კანტი: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზევით და მორალური კოდექსი ჩემშიო. ხალხურ ენაზე, ჩემი აზრით, ეს ნიშნავს იმას, რომ ველურისაგან მე მხოლოდ ჩემში არსებული მორალური კოდექსით განვსხვავდები, თორემ ვარსკვლავებიანი ცა ორივეს ერთნაირად დაგვყურებს თავზეო. კანტიც დიდი მოაზროვნე იყო და მასაც უნდა დავუჯეროთ.

ერთი სიტყვით, ცივილიზებული ველურობა ის იქნება, თუ დღევანდელი ტექნიკით აღჭურვილი ადამიანი უარს იტყვის ზნეობაზე და ამით ხელს აიღებს კულტურაზე.

ვაი, რომ ამის ნიშნები სრულიად აშკარაა დღეს. მეტიც. ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს მასირებული შეტევა ზოგადსაკაცობრიო მორალურ ნორმებზე, ეროვნულ ტრადიციებზე, ოჯახზე, ყველაფერზე, რაც ადამიანის ჯიშის შენარჩუნება-კვლავწარმოებას უზრუნველყოფს.

უპირველესად ადვილ სამიზნედ სირცხვილის გრძნობა აირჩიეს და ადამიანის ხელისშემშლელ კომპლექსად გამოაცხადეს იგი. სირცხვილის გრძნობისაგან გათავისუფლება აქტუალურ ამოცანად მიიჩნიეს საზოგადოებრივი „პროგრესის“ გზაზე.

იციან „მასირებული შეტევის“ ორგანიზატორებმა და სტრატეგებმა, რომ სირცხვილის გრძნობას თუ დაუკარგავ ადამიანს, მერე ადვილია მისი განძარცვა ყოველგვარი ადამიანური თვისებისაგან. სირცხვილის გრძნობა ადვილ სამიზნედ იმიტომ მიიჩნიეს, რომ ჩვენში კარგა ხანია კარიერულ თუ ეკონომიკურ წარმატებებს იოლად, სწორედ, უსირცხვილო ადამიანები აღწევენ.

ვინ და რატომ დაგეგმა კაცობრიული მორალის წინააღმდეგ ეს ულვთო ომი, ამას სხვები არკვევენ. მე კი ვხედავ, რომ ყველგან თანაბარი წარმატებით არ მიმდინარეობს იგი. იქ, სადაც ხელისუფლება ზნეობის წინააღმდეგ მოლაშქრე ვაიდემოკრატებს, უილიბერალებსა და ათასი ჯურის ენჯეოებს შეეკრა, წარმატება აშკარაა, მაგრამ სადაც „უღვთო ომის“ ლეგიონერებს „მაგარი მუშტი“ მოხვდათ ცხვირში ხელისუფლების საკანონმდებლო პოზიციის გამო, მათი გამარჯვება ფრიად საეჭვო გახდა. აი, ჩვენს მეზობელ დიდ რუსეთში, კანონით ასი წლით აიკრძალა ჰომოსექსუალიზმისა და სხვა ანტიადამიანური გამოვლინების პროპაგანდა. ლგბტ-ს ქომაგი უცხოელი და რუსეთელი ვაიდემოკრატებისა და უილიბერასტების ყმუილ-ნკავწკავი სულ ცალ ფეხზე ჰკიდია რუსეთის მთავრობას. როგორც ჩანს, მისთვის მნიშვნელოვანია არა ძია სემისა თუ მამიდა ჰილარის, ევროპარლამენტისა თუ რაღაცპარლამენტის წარმომადგენელთა აზრი, არამედ საკუთარი ხალხის ინტერესები. ასევე ღირსეულად იქცევა ჩვენი მეორე დიდი მეზობელი თურქეთის მთავრობა. აი, იქ კი მართლაც, ყოველგვარი გადატანითი მნიშვნელობის გარეშე, მაგარი მუშტი უთავაზეს ცხვირში თავიანთ ლიბერასტებსა და მათ უცხოელ დამქაშებს. სწორედ ამ ქვეყნებში მოიტეხენ კისერს ე. წ. „ევროპული ღირებულებების“ პროპაგანდისტები.

ან ეს „ევროპული ღირებულებები“ რა არის, მაცოდინა ნეტავი! განა მართლა ვინმეს ჰგონია, რომ არსებობს კონტინენტური ღირებულებანი? ვის ატყუებენ ეს სულგაყიდული ენჯეოელები? ევროპული ღირებულებაა ჰომოსექსუალიზმი, ლესბოსელობა და სხვა სახის არაკაცური და არაქალური ქცევები? ევროპის ნამდვილ დედაქალაქში – პარიზში მილიონი კაცი გამოვიდა საპროტესტო დემონსტრაციაზე ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ ყურად არ იღო ხალხის მოთხოვნა. ცნობილმა ფრანგმა მწერალმა პროტესტის ნიშნად ნოტრ-დამის წინ თავი მოიკლა...

ტრ-კის მიცემა ევროპული ღირებულება ყოფილა, კი, აბა!

ევროპული ღირებულება კი არა, ამ არაადამიანური მორალის პროპაგანდას იოლად ახერხებენ უხერხემლო ევროპული დემოკრატიის პირობებში, სადაც საზოგადოება გათითოკაცებულია, მათ აღარც ეროვნული იდეოლოგია აერთიანებთ და აღარც მამაპაპური ტრადიციები. მხოლოდ რეკლამაა ერთადერთი, რაც გარკვეული (ვიღაცისთვის სასურველი!) მიმართულებით საზოგადოებრივი აზროვნების წარმართვას ახერხებს.

ჩვენში რა ხდება, ჩვენში, რაზედაც სტატიის სათაურში მივანიშნე? ან თინა რა შუაშია? იმედი მაქვს, არ იფიქრებთ, რომ მოხევის ქალ თინაზე ვაპირებ საუბარს. მე იმ თინაზე მოგახსენებთ, რომელიც ქართული ტელესერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ პერსონაჟია და ეკრანზე უკვე ნაჩვენები მრავალი სერიის განმავლობაში თავი კეთილად დაამახსოვრა და შეაყვარა ქართველ მაყურებელს.

ჩვენს ტელეეკრანებზე გამოტანილი სერიალების დიდ უმრავლესობას, არც მხატვრული და არც შემეცნებითი ფუნქცია არ გააჩნიათ. მათ სრულიად გარკვეული პოლიტიკური და ზნეობრივი (უფრო კი ანტიზნეობრივი!) პროპაგანდისტული ამოცანები აქვთ დასახული. დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ ის ზნეობრივი თუ პოლიტიკური თვისებები, რომლის პროპაგანდა-დანერგვაც მიზნად დაუსახავთ ავტორებს, ყველაზე უფრო დადებით პერსონაჟებს ახასიათებთ. მაგალითად, „ჩემი ცოლის დაქალებში“ ერთი პერსონაჟი (რომელიც, საბედნიეროდ, ცოტა ხანს ჩანდა ეკრანზე და ისიც ადვილად გასაგებია, რატომ ჩანდა ცოტა ხნით!) გამორჩეულად ზრდილობიანი, თავდაჭერილი, გაწონასწორებული, გულისხმიერი, კარგი პროფესიონალი და ფიზიკურადაც უნაკლო კაცია. იგი პირველივე კადრებიდან მაყურებლის სიმპათიას იმსახურებს და... უცებ აღმოჩნდება, რომ ცისფერია, გასაგებად თუ ვიტყვი, პედერასტია.

როგორც ჩანს, მისი გამოჩენა საზოგადოებრივი განწყობის ზონდირებას ემსახურებოდა. „იმედი“ უნდა ვიქონიოთ, რომ ახალ ტელესერიალებში პედერასტები უფრო ხანგრძლივად მიიქცევენ ჩვენს ყურადღებას.

აი, თინა, კი უფრო მას შტაბურ ამოცანას ასრულებს: ოჯახის დღემდე დამკვიდრებულ ტრადიციას უპირისპირდება, თანაც – ქალის უფლებების დაცვისა და პიროვნული თავისუფლების სახელით.

ქალისა და კაცის თანაცხოვრებას თურმე რაიმე ურთიერთპასუხისმგებლობა კი არ უნდა ახლდეს, არამედ მხოლოდ სქესობრივი ლტოლვა, რომელიც გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ უთუოდ შენელდება (ან სულაც გაქრება) და თანაცხოვრებაც უპრობლემოდ დამთავრდება. სწორედ ეს ყოფილა თავისუფლება. აი, ამ მორალის მატარებელია სერიალის ყველაზე სანიმუშო პერსონაჟი – თინა.

ქართულ ტელეეკრანზე დღემდე ნაჩვენებ „ჩემი ცოლის დაქალების“ უამრავ სერიაში, მრავალრიცხოვან პერსონაჟთა შორის თინა გამოირჩეოდა ნიჭიერებით, განათლებით, პრინციპულობით, ძლიერი პიროვნული ხასიათით, გულისხმიერებით, უანგარობით, შემწყნარებლობითა და ყველა იმ თვისებით, რაც პიროვნებას ამკობს და ამშვენებს და როცა მან მაყურებელთა საერთო პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა, მოულოდნელად, ერთ ძალიან კარგ კაცს შესთავაზა, მომწონხარ და შენთან ერთად წოლით რეჟიმში მინდა ვიცხოვროო, მხოლოდ ცოლქმრულ კავშირზე სიტყვა არ გამაგონოო. კარგიო, – უთხრა იმ კაცმაც და დაიწყეს ცხოვრება.

ისინი ერთად დადიან სტუმრად მეგობრებთან, ნათესავებთან, სადაც თინა ყველას უცხადებს, ეს კაცი ჩემი ქმარი არ გეგონოთ, უბრალოდ, გვიყვარს ერთად წოლით რეჟიმში ყოფნა და ეგ არის და ეგო. როდესაც მამინაცვალმა წვეულებაზე ერთ-ერთი ასეთი განცხადების პასუხად მორიდებით შენიშნა, ქალი და კაცი რომ ერთად ცხოვრობს, ცოლ-ქმარი არიან, აბა, რაო, თინამ ისე იქედნურად ჩაიღიმა, რომ გვაგრძნობინა, ეს კაცი რა უიმედოდ ჩარჩენილა წარსულშიო.

გამოდის, რომ ოჯახი წარსულის გადმონაშთია, თინა კი პროგრესის დამამკვიდრებელი! ფილმის ავტორები და მათი დამკვეთები ამ შეგნების დამკვიდრებას ცდილობენ. არადა, ოჯახი ერისა და სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია, იგია ეროვნული გენოფონდის კვლავწარმოების ერთადერთი წყარო და ფაქტორი.

ვის და რატომ უნდა უნდოდეს ამ უმნიშვნელოვანესი სოციალური უჯრედის მოშლა? ნუთუ ეს იმისთვის არის საჭირო, რომ როგორმე დედამიწას დემოგრაფიული კატასტროფა აცილდეს? ოჯახის ინსტიტუტი თუ მოიშლება, ადამიანის გამრავლება, ცხადია, შეფერხდება. იქნებ ეს კარგიც იყოს, მაგრამ კაცობრიობის ამ უსაშველო გამრავლებაში ჩვენ, ქართველებს რაიმე წვლილი მიგვიძღვის? ჩვენ ჩვენი მცირერიცხოვნობა ვერ დაგვიძლევია და მსოფლიოს ვუქმნით დემოგრაფიულ საფრთხეს? სისულელეა ამის ფიქრი. ის პროგნოზი კი, სამწუხაროდ, რეალურია, რომ უახლოეს 30 წელიწადში ჩვენი ქვეყნის ქართული მოსახლეობა 28 პროცენტით შემცირდება. საშინელებაა, არა? ამ ჩვენს უცხოური გრანტიყლაპია (ანუ ქართულად, ძღვენიჭამია!) ენჯეოელებს, თავი ჩინეთში ჰგონიათ თუ ინდოეთში? სინდის-ნამუსი სულაც სოროსის ფონდში დარჩათ თუ არც ჰქონიათ ოდესმე? აბა, დემოგრაფიულად ისედაც მომაკვდავ სამშობლოს გამრავლების შემცირებისკენ როგორ უბიძგებენ? არ უნდა ვიფიქროთ ამაზე? „თინას მორალის“ დამკვიდრებას აუღელვებლად ვუცქიროთ?

როგორ მოგეწონებათ, ძვირფასო მკითხველო, თინას მორალზე აღზრდილმა თქვენმა ქალიშვილმა ერთ დღეს თავის ტოლი ვაჟი რომ მოგაყენოთ შინ და გამოგიცხადოთ, ერთ ხანს ამ კაცთან უნდა ვიცხოვროო, იგი ჩემი ბოიფრენდი ანუ ჩვენებურად, ჩემი კუროაო. რა გაგიკვირდათ! ეს გველოდება, თუ „თინას მორალი“ ყველას სახადივით მოედო.

გამოსავალი არის?

კი, არის! კანონით უნდა აიკრძალოს უზნეობისა და ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა.

ზურაბ ცუცქირიძე

განცხადება

2014 წლის 29 იანვარს 14 საათზე გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88“-ის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება მისამართზე: თბილისი, გოგოლის ქ. №9.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობის მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილი);
2. ამხანაგობის დებულებაში ცვლილების შეტანა (ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილი);
3. საორგანიზაციო საკითხები (ამხანაგობის იურისტი თ. კობერიძე).

ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ამხანაგობის გამგეობა.

◎ განგაში

სამინისტრო დოპინგის თემას საგანგებო ბრიფინგით ეხმაურება

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა მოადგილე თამაზ თევზაძესთან, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძესთან, ოლიმპიური გუნდის მთავარ ექიმ ზურაბ კახაბრიშვილთან და ანტისადოპინგო სააგენტოს თავმჯდომარე პავლე კასრაძესთან ერთად საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

დიალოგის თემა ქართველი მოჭიდაველების გიორგი ედიშერაშვილის (55 კგ) და ლევან არაბულის (120 კგ) დოპინგზე ჩავარდნა იყო.

სპორტსმენებმა ინტერნეტით გამოწერილი პრეპარატები თვითნებურად მიიღეს. თავისუფალი სტილით მოჭიდავე გიორგი ედიშერაშვილს, რომელიც ევროპის მოქმედი ჩემპიონია და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების წევრს, ევროპის 2012 წლის ვიცე-ჩემპიონ ლევან არაბულს სინჯები შარშან მოსკოვში 8-10 ნოემბერს გამართულ „ევროპის ერთა თასზე“ აუღეს. დოპინგ-ტესტმა დადებითი პასუხი აჩვენა და ორივე მოჭიდავე ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

მსჯელობისას ითქვა, რომ როგორც სამინისტრო, ასევე ყველა სპორტული ორგანიზაცია მკაცრ რეაგირებას მოახდენს აღნიშნულ ფაქტზე, გატარდება კონკრეტული სანქციები, ასევე შეიქმნება სამთავრობო უწყებათაშორისი კომისია, რომელიც სამომავლოდ პრობლემების გადაჭრის გზებზე იმსჯელებს.

პრესკონფერენციაზე ოლიმპიური გუნდის ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა წარმოადგინა ძიუდოისტთა და მოჭიდავეთა ეროვნული და სხვადასახვა ასაკობრივი ნაკრებების წევრთა ხელმოწერები, რომლებიც ადასტურებენ მათი მხრიდან დოპინგის მოხმარებისგან თავშეკავებას. აღნიშნულ სიას და ხელმოწერებს სამომავლოდ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებიც შეუერთდებიან, როგორც ოლიმპიური, ასევე არაოლიმპიური სპორტიდან.

მხარეთა შეთანხმებით გადაწყდა, რომ:

1) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან ორივე სპორტსმენს შეუწყდება სტიპენდია და მოეხსნებათ ხელფასები.

2) სამინისტრო არ დააფინანსებს იმ სპორტულ ფედერაციებს, რომლებსაც არ ექნებათ გაფორმებული ხელშეკრულებები ეროვნულ ანტისადოპინგო სააგენტოსთან.

3) სამინისტროს ინიციატივით, ჯანდაცვისა და შს სამინისტროებთან ერთად შეიქმნება კომისია, რომელიც შეისწავლის მსგავს ფაქტებს და დასახავს პრობლემების გადაჭრის გზებს.

4) საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია გამოიძიებს ამ კონკრეტულ შემთხვევას, გასცემს მკაცრ გაფრთხილებებს და მიიღებს ყველანაირ ზომას სამომავლოდ მსგავსი ფაქტების აღსაკვეთად, ასევე უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებს ეროვნულ ანტისადოპინგო სააგენტოსთან.

5) ეროვნული ანტისადოპინგო სააგენტო მოითხოვს სპორტული ფედერაციებისგან გამოყონ კონკრეტული პირი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ანტისადოპინგო საქმიანობაზე. სააგენტო ასევე გააგრძელებს კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზებას.

გეჟან დოლიძე

◎ ჩოგბურთი

ფერერი მერვედფინალშია

მსოფლიო კლასიფიკაციის მესამე ნომერი დავიდ ფერერი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მერვედფინალში ფრანგი ჟერემი ჩარდის 6:2, 7:6 (7:5), 6:2 დამარცხებით გავიდა. 31 წლის ფერერი მეოთხედფინალში გასასვლელად გერმანელ ფლორიან მაიერს შეხვდება, რომელმაც თავის მხრივ ასევე 3 სეტით სძლია პოლონელ ეჟი იანოვიჩს (20).



ფერერი ჩარდის საჩოგბურთო კარიერის განმავლობაში მეექვსედ შეხვდა და მეხუთედ მოახერხა ფრანგის წინააღმდეგობის დაძლევა. 2 საათისა და 12 წუთი სათამაშო დროის განმავლობაში დავიდმა 5 ბრეიკი და 2 ეისი შეასრულა.

„ჩარდისთან შეხვედრისას გადამწყვეტი მეორე სეტი გამოდგა. მეტოქის სეტბოლების დროს ვიმარჯვე და მესამე პარტიაში დამაჯერებლად ვითამაშე. ფიზიკური ასპექტით კარგად ვარ მზად, მაგრამ მაინც კარგია, მატჩი 3 სეტით რომ მოვიგე“, — განაცხადა ფერერმა მერვედფინალში გასვლისთანავე.

შეგახსენებთ, რომ შარშან ავსტრალიის ღია პირველობაზე ფერერი ნახევარფინალში გავიდა და მომავალ ჩემპიონ ნოვაკ ჯოკოვიჩთან დამარცხდა. დავიდმა წლის პირველი სადიდსლემო შეჯიბრების ნახევარფინალში 2011-შიც იასპარეზა, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის უფლება ენდი მარეისთან დამარცხების გამო ვერ მოიპოვა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ბედისწერა

ნეიმარი თვეს გამოტოვებს

კატალონიის „ბარსელონას“ ახალწვეულმა ნეიმარმა „ხეტაფესთან“ კოპა დელ რეის მატჩში (2:0) ტერფის ტრავმა მიიღო. Barcastuff-ის ცნობით, 21 წლის ბრაზილიელი ლაზარეთში თვეს გაატარებს.

„ხეტაფესთან“ მატჩის პირველ ტაიმში ნეიმარმა გამჭოლი გადაცემა გააკეთა, რა დროსაც, ტერფი დაიზიანა. სამხრეთამერიკელს დეტალური სამედიცინო გამოკვლევა უახლოეს პერიოდში ჩაუტარდება.

მატჩის შემდეგ საფუძვლიანი ვარაუდი არსებობდა იმისა, რომ ნეიმარი სეზონის ბოლომდე იუქმებდა. კატალონიელთათვის საბედნიეროდ, ესპანელი ჟურნალისტების წინასწარი ვარაუდი არ გამართლდა.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

სუპერლიგის ყველა ვარსკვლავის მატჩის გამოკითხვა დაიწყო

უკვე რამდენიმე დღეა, რაც საკალათბურთო სუპერლიგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http5//superleague.ge/ge/allstar/vote/) „ყველა ვარსკვლავის“ მატჩისთვის ხუთეულების შერჩევა

დაიწყო. აღნიშნულ მატჩ-აქციას წლეულს რუსთავი უმასპინძლებს, რითაც რეგიონებში კალათბურთის პოპულარიზაციის ტრადიცია გაგრძელდება. 25 იანვარს რუსთავის სპორტულ დარბაზში „ოლ სტარის“ მატჩი და აქციის შემადგენელი ჩატენვებისა და 3-ქულიანი სროლების კონკურსები გაიმართება.

3-ქულიანების კონკურსში მონაწილეობას 7 კალათბურთელი მიიღებს: შარშანდელი გამარჯვებული გიორგი ბარბაქაძე (ქუთაისი) და მიმდინარე სუპერლიგის 6 საუკეთესო სნაიპერი. რაც შეეხება ჩატენვების კონკურსს, მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

„ყველა ვარსკვლავის“ მატჩში მონაწილე გუნდების სასტარტო ხუთეულებს გულშემატკივრები შეარჩევენ და ხმის მიცემა დღეში ერთხელ შეეძლებათ. პროცედურა ტრადიციული იქნება — ყოველი ხმის მიმცემი საიტის შესაბამის განყოფილებაში წარმოდგენილი მოთამაშეებიდან შეარჩევს მისთვის სასურველ ხუთეულებს (2 უკანახაზელს, 2 ფორვარდს და 1 ცენტრს). გამოკითხვა 23 იანვარს ღამის 12 საათზე დასრულდება და ყველაზე მეტი ხმის მიმღები 10 კალათბურთელი (5-5 თითოეული გუნდიდან) „ყველა ვარსკვლავის“ მატჩში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს.

გამოკითხვის დასრულების შემდეგ გუნდების მწვრთნელები - ირაკლი ხოშტარია და კოტე ტუღუში დარჩენილი მოთამაშეებისგან საკუთარი შეხედულებისამებრ 7-7 კალათბურთელს შეარჩევენ, რომლებითაც შეავსებენ შემადგენლობას.

სპეციალური პრიზით დაჯილდოვდება ყველა ვარსკვლავის მატჩის საუკეთესო მოთამაშე, რომელსაც კომპეტენტური ჟიური დაასახელებს. მატჩი-აქციის MVP, ჩატენვებისა და 3-ქულიანების კონკურსების გამარჯვებულები ფულადი პრიზებით დასაჩუქრდებიან სუპერლიგის გენერალური სპონსორისგან - აზარტული თამაშების კომპანია „ევროპა-ბეთისგან“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

რონალდინიო სკანდალში გაეხვა

ევროპულ მედიასაშუალებებში გამოქვეყნებულმა ფოტომ, სადაც „ატლეტიკო მინეიროს“ 33 წლის ვარსკვლავი რონალდინიოა აღბეჭდილი, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. იმაზე, რასაც ფოტოზე ხედავთ, კომენტარი ფეხბურთელის ძმამ — რობერტო ასისმა გააკეთა.

„ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ. ვადასტურებ, რომ ფოტოზე ნამდვილად ჩემი ძმაა. მერე რა მოხდა? რონალდინიო შეუღლებული არაა და თანაც შვებულებაშია. გარდა ამისა, მას თავისი პირადი ცხოვრება აქვს და ეს მისი ნებაა. არ მესმის, ამხელა ყურადღება რატომ დაუთმეს ამ ფოტოს. ბრაზილიურ პოლიტიკაში ძალზე ცუდი მდგომარეობაა, თქვენ კი ყურადღებას რონალდინიოს არდადეგებზე ამახვილებთ“, — განუცხადა რობერტო ასისმა UOL Esporte-ს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კითხვები, რომლებიც არსებობს

სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, გენერალური ინსპექციის მოთხოვნის საფუძველზე, ამოღებული იქნა 377 GB მოცულობის ვიდეომასალა, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-9 დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის არსებულ მონაკვეთში განლაგებულმა 18-მა სათვალთვალო კამერამ 2013 წლის 13 დეკემბრის 12:00 საათიდან 2013 წლის 14 დეკემბრის 12:00 საათამდე ჩაიწერა.

„ჩანაწერის დათვალიერებისას საქმისათვის საინტერესო ფაქტობრივი გარემოებები ვერ იქნა აღმოჩენილი. რაც შეეხება სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერებს, 2013 წლის 17 დეკემბერს, ივანე მერაბიშვილის მიერ განცხადების გაკეთების მომენტისთვის, 13-14 დეკემბრის ჩანაწერი აღარ არსებობდა, ვინაიდან შენობებში არსებული ვიდეოსათვალთვალო ტექნიკური საშუალებები, 24 საათის გასვლის შემდეგ, ახალი ინფორმაციის ჩაწერის გამო, ძველ ჩანაწერებს ავტომატურად შლის“, — აცხადებენ სასჯელაღსრულების სამინისტროში.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების მე-9 დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულ მერაბიშვილის ადვოკატის დავით ხაჟალიას განცხადების საფუძველზე გენერალურმა ინსპექციამ სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო.

სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გამოიკითხნენ სასჯელაღსრულების მე-9 დაწესებულების თანამშრომლები, რომლებმაც კატეგორიულად უარყვეს ბრალდებულ ვანო მერაბიშვილის მიერ 2013 წლის 14 დეკემბერს ღამის საათებში სასჯელაღსრულების მე-9 დაწესებულების ტერიტორიის დატოვების ფაქტი. შემოწმდა სასჯელაღსრულების მე-9 დაწესებულებაში არსებული ჟურნალებიც, რომლებიც დაწესებულების ტერიტორიაზე ავტომანქანების შესვლა-გასვლასა და ბრალდებულ-მსჯავრდებულთა მოძრაობას აღრიცხავენ.

სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ ვანო მერაბიშვილის საქმეზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგებს უნდობლობას უცხადებს და სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის გადადგომას ითხოვს „ნაციონალური მოძრაობა“. საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიორგი გაბაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობას ერთი თვე დასჭირდა იმის სათქმელად, რომ ვიდეოჩანაწერები, სადაც აღბეჭდილია „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის „საკნიდან გატაცება“, არ არსებობს.

„სასჯელაღსრულების სამინისტროში დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მსგავსი ჩანაწერები ინახებოდა ერთი თვე, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში — ნახევარი წელიც კი და ამას ბაჩო ახალაიას შემთხვევაც ადასტურებს, როდესაც მისი საკნის ჩანაწერი რამდენიმე თვის შემდეგ გამოქვეყნდა. ასევე აბსურდულია სამინისტროს მტკიცება, რომ, თითქოს, არსებობს ქუჩის ჩანაწერები, მაგრამ არ არსებობს საკუთრივ მე-9 დაწესებულების კამერათა ფირები.

უსაფრთხოების კამერების მიერ ჩანაწერების გაკეთების არსი სწორედ ისაა, რომ ისინი გამოყენებულ იქნას, თუკი საჭირო გახდება გამოძიების ჩატარება მათზე აღბეჭდილი ნებისმიერი ფაქტის გამო. ამდენად, გავრცელებულმა განცხადებამ აშკარა გახადა, რომ დანაშაულებრივ ქმედებას კრიმინალი ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის მხრიდან საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ ნამდვილად ჰქონდა ადგილი“, — აცხადებს გაბაშვილი.

„მათ იცოდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კამერების მუშაობის რეჟიმი“

უმცირესობის წევრის განცხადებით, პირადად მინისტრმა სუბარმა და სამინისტროს თანამშრომლებმა ჩაიდინეს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაული — მტკიცებულებათა განადგურება. მთელმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ კი საკუთარ თავზე აიღო პოლიტიკური პასუხისმგებლობა და ამ დანაშაულის დაფარვას შეეცადა. უდავოა, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკური ანგარიშსწორების დაკვეთასთან, რომლის განხორციელებაშიც ჩართულია მთელი მმართველი კოალიცია“, — განაცხადა გაბაშვილმა.

დეპუტატის შეფასებით, დანაშაულის მასშტაბიდან გამომდინარე, აუცილებელია საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლება დანაშაულის დაფარვით არის დაკავებული.

„თანამდებობა უნდა დატოვოს სოზარ სუბარმა, რომელმაც, დიდი ალბათობით, მონაწილეობა მიიღო მტკიცებულებათა განადგურებაში. ამ დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილე ყველა პირმა ასევე უნდა აგოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხი“, - აცხადებს გოკა გაბაშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წევრის თინათინ ხიდაშელის განცხადებით, ვანო მერაბიშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველაზე კარგად იციან, თუ როგორ რეჟიმში მუშაობს ვიდეოკამერები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ხიდაშელი ამბობს, რომ მისთვის თავიდანვე იყო ცნობილი, რომ ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით ვიდეომასალა არ არსებობდა.

„როგორ ფიქრობთ, საქართველოში ყველაზე კარგად ვინ იცის დღესაც კი, რეალურად რა რეჟიმში მუშაობს ვიდეოკამერები, რომელიც სხვადასხვა უწყებებშია დამონტაჟებული?! რომელს აქვთ 24-საათიანი ჩაწერის რეჟიმი, რომელს, უბრალოდ —თვალთვალის ფუნქცია, ჩაწერის გარეშე, რა პერიოდულობით ხდება გადაწერა და წაშლა.

ყველაზე კარგად ამ ინფორმაციის მატარებელი, ჩემი აზრით, ვანო მერაბიშვილი იყო, ამიტომ, ძალიან ნათელი და მარტივი იყო მათი მოქმედება. ჩვენი პრობლემა კი ის იყო, რომ ეს არ ვიცოდით. მათ იცოდნენ, რომ კონკრეტულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კამერები რა რეჟიმში მუშაობდნენ“, - ამბობს თინა ხიდაშელი.

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნებს, სოზარ სუბარის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას და პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყებას, თინა ხიდაშელი მიიჩნევს, რომ სოზარ სუბარის პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დადგეს, თუ მისი ბრალეულობა რაიმეში იკვეთება.

როგორც ხიდაშელი აცხადებს, თავად „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში და ვანო მერაბიშვილის განცხადებაშიც არსად არ ფიგურირებს სოზარ სუბარის მიერ რაიმე ტიპის გადაცდომაზე ან დანაშაულზე საუბარი. რაც შეეხება საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას, ხიდაშელი აცხადებს, რომ ამ იდეას კატეგორიულად არ დაეთანხმება.

„კატეგორიულად არ დავეთანხმები ამ იდეას, იმიტომ, რომ კომისია არის განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში იქმნება. ეს არ არის ამ ტიპის საქმე. რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნას, რომ პროკურატურამ ავტომატურ რეჟიმში დაიწყოს საქმის გამოძიება, ვანო მერაბიშვილს, ან კიდევ რომელიმე მის მეგობარ ზონდერს, მაგალითად, ბატონ ონიანს და მსგავს ადამიანებს რამდენი რამე ცუდი სიზმარი ექნებათ, ყველაფერზე რომ პროკურატურამ გამოძიება დაიწყოს და პარლამენტმა საგამოძიებო კომისიები შექმნას, მე ვფიქრობ, რომ არასერიოზულია“, - აცხადებს დეპუტატი.

ხიდაშელის განცხადებით, ვანო მერაბიშვილის ინციდენტის შემდეგ სპეციალისტების ჯგუფმა შეამოწმა ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულება და როგორც აღმოჩნდა, პრაქტიკულად არც ერთი ვიდეოკამერა არ აკმაყოფილებს იმ ნორმებს, რისთვისაც ისინი არსებობენ. დეპუტატის განცხადებით, უმრავლეს შემთხვევაში, მათ ჩაწერის მაგივრად მხოლოდ თვალთვალის ფუნქცია აკისრიათ.

პროკურატურის მხრიდან გამოძიების დაწყების აუცილებლობაზე საუბრობს სახალხო დამცველი. უჩა ნანუაშვილი ამბობს, რომ მან მოისმინა სასჯელაღსრულების სამინისტროს განცხადება, თუმცა, კვლავ ბევრი კითხვა დარჩა.

თამთა ქარჩავა

გახსენება

დავით (დათო) მაისურაძე

დღეს 53 წლის გახდებოდა **დავით (დათო) მაისურაძე**. 1996 წლის 31 მარტს განუკურნებელმა სენმა წაართვა მისი სიცოცხლე მშობლებს, ძმას, მეგობრებს.

ვერ მოესწრო ძმისშვილების, ელისაბედისა და ეკატერინეს დაბადებას. ვერ შეძლო მათთვის სიყვარულის, სითბოს გაზიარება.

მოურჩენელი ტკივილი დარჩა დედას, ქალბატონ შუქურა თალაკვაძეს. გამოუთქმელ დარდს ვერ იტევს მამა, ყველასთვის პატივსაცემი ქართველი ვაჟაცი, გენერალი ანზორ მაისურაძე. განიცდის ძმა და სევდით იხსენებს ლაღად გატარებულ ბავშვობას.

თურმე როგორ „გაახალგაზრდავდა“ სიკვდილი.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

შუქურა თალაკვაძე, ანზორ, გივი, ელისაბედ და ეკატერინე მაისურაძეები

სანთელი

ჰამლეტ მაქაცარია

მას უდიდესი დარტყმა მიაყენა ცხოვრებამ — უფროსი ვაჟის დაღუპვა.

ბევრს ფსიქოლოგიურად გატეხდა ასეთი ტრაგედია, თუმცა, **ჰამლეტ მაქაცარია**, პირიქით, კიდევ უფრო გაასალკლდევა.

როცა მის ბიოგრაფიას ვფურცლავთ, ჩვენს წინაშე მთელი ბრწყინვალებით იხატება დიდბუნებოვანი სულის, კეთილშობილებით აღსავსე კაცური კაცის პორტრეტი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო უანგარობა, გულისხმიერება, მოყვასისადმი დიდი სიყვარული, თანადგომა და ქველმოქმედება

მართალია, არსთა გამრიგემ მძიმე სენით დაავადებული ვაჟკაცისთვის მხოლოდ 53 ამქვეყნიური წელი გაიმეტა, მაგრამ აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ისეთი სახელი დატოვა, ზოგი საუკუნის განმავლობაში რომ ვერ მოასწრებდა.

დაგვეთანხმებით, რიგითი სპეციალისტიდან „აბსოიუზის“ საექსპორტო-საიმპორტო გაერთიანების ხელმძღვანელობამდე აღზევება და ავტონომიური რესპუბლიკის ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის წოდების დამსახურება ბევრ რამეზე მეტყველებს.

გულს იმით ვიმშვიდებთ, რომ ძვირფასი ჰამლეტის უმცროსი ვაჟი საშა ღირსეულად აგრძელებს სახელოვანი მამის ტრადიციებს და მეუღლე რაიასთან, სიდედრ გალინასთან, და სერცესთან, რძალ ლიკასთან და ვერმოსწრებულ შვილიშვილებთან — გიორგისთან, ედუარდთან და ანასტასიასთან ერთად დიდი საახლობლოს თანადგომით სათუთად ინახავს საამაყო მშობლის ნათელ ხსოვნას.

20 იანვარს ჰამლეტ მაქაცარიას 75 წელი შეუსრულდებოდა. ამ დღეს მისი უამრავი მეგობარ-ნათესავი კიდევ ერთხელ დანამავს მის საფლავს ალალი ცრემლით.

ჯემალ აკობიძე, ჯუმბერ ჯღამაია, სოსო ნაყოფია

წყნეთში, ფიროსმანის ქუჩის მცხოვრებლები დავით ბენიძე, მელორ ტყეშელაშვილი, ავთანდილ იაშვილი, ლადო კვარაცხელია, ლელა, ლევან გაბრიჩიძეები, ვანო ზოდელავა, ზაზა მაზმიშვილი, გია, ზაზა ქათამაძეები, კახა ბაკურაძე, მუხრან ბაგრატიონი, ტარიელ რაზმაძე, კახა კვიციანი, გოგი ჩიქოვანი, გია მიქელაძე, გურამ ახალაია, დემურ გადელია, ფრიდონ ინჯია, რეზო ხვედელიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან უკეთილშობილესი ადამიანის, ყოფილი მეზობლის

ვალერი სვინტრაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საზოგადოება „ზუგდიდელი“ ღრმა მწუხარებით იუწყება ბატონ კახა არდიას

დედის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

არსენალი ნინოწმინდაში

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში ნინოწმინდის მცხოვრებმა, 1979 წელს დაბადებულმა სამველ ა-მ ნებაყოფლობით დიდი ოდენობით საბრძოლო მასალა ჩააბარა.

შსს-ს ინფორმაციით, მოქალაქემ განყოფილებაში წარადგინა დაზგის ტანჯსაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნის ჭურვები: 6 ცალი „პეგა-15-პ“ და 6 ცალი „პეგა-9“, ასევე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის „ა-კა-ეს“-ის 12 საბრძოლო ვაზნა.

გამოძიება მიმდინარეობს ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე.

ინტერპრესი

◉ საუფლო დღესასწაული

ნათლისღება — წყალკურთხევა

გაცხადება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

19 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უდიდეს საუფლო დღესასწაულს — ნათლისღებას ზეიმობს, 20 იანვარს — კრება წმიდისა დიდებულისა ნათლისმცემელისა, იოანესი.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა თავისი ცხოვრებით გადაწყვიტა ჩვენთვის სამაგალითო ყოფილიყო და ამით ისევ ჩვენთვის მოენიჭებინა ხსნა.

იუდეური ჩვეულების თანახმად,

ამ ასაკზე (30 წელი) ადრე სახალხო მასწავლებლის ან მოძღვრის წოდებას ვერავინ მიიღებდა. რადგან სჯულს ემორჩილებოდა, ღმერთკაცს სახარების ქადაგება გარკვეულ ასაკამდე არ დაუწყია. ის ნაზარეთიდან წავიდა იორდანეს ნაპირებისკენ, სადაც იოანე წინამორბედი თავის მსახურებას აღასრულებდა და ყველას წყლით ნათლობისკენ — სინანულისა და განწმენდისკენ მოუწოდებდა.

მაცხოვარმა ჩვენმა — იესო ქრისტემ კაცობრიობის ცოდვები იტვირთა და „ხატი მონისა“ მიიღო ნათლისმცემლის ხელით და იორდანეში მოინათლა. ამით მან ნათლისღების აუცილებლობა ასწავლა ყველას. ამ დროს ცა გაიხსნა და სიწმინდის, მოკრძალებისა და ერთგულების სიმბოლო — მტრედის სახით — სულიწმინდის მადლი (სულიწმინდა) მათზე გადმოვიდა; „ესე არს ძე ჩემი საყვარელო, რომელი მე სათნო ვიყავი“ — მამის ხმაც გაისმა. მაცხოვრის ღვთაებრიობა წმინდა სამების განცხადებამ დაამოწმა.

იესო ქრისტე წყლიდან გამოსვლის შემდეგ იორდანეს უდაბნოში განმარტოვდა, რათა ლოცვითა და მარხვით წინასაუკუნეთა მიერ მისთვის განსაზღვრული საქმისთვის — კაცობრიობის ხსნისთვის — მომზადებულიყო. 40 დღე და ღამე გაატარა მან ამ ველურ ადგილებში, სადაც მაცდური ეშმაკი დაამარცხა და სულიერად ძლიერი, მოწაფეებისა და ხალხის თანხლებით დაბრუნდა ყოვლადწმინდა დედასთან.

გადმოცემა გვამცნობს, რომ მცირე ხნის შემდეგ უფალი იესო ქრისტე კანას გალილეაში საქორწინო წვეულებაზე ღვთისმშობელთან ერთად მიიწვიეს, ქორწინდებოდა სვიმონ კანანელი... აღმოჩნდა, რომ ღვინო არ ჰყოფნიდათ. აი, აქ დაიწყო მან სასწაულების აღსრულება თავისი ყოვლადწმინდა დედის შუამდგომლობით, რათა ხალხისთვის ჩაეგონებინა, რომ მხურვალე მეოხი ყოველთვის შეევედრება თავის ძეს — ღვთაებრივი წყალობა მიიღოს მწუხარეთა და ჭირვეულთა, ცოდვებით მოწყლულთა ზედა.

იესომ იგრნო, რომ ამ ქვეყნად მისი მოვლინება ზეციური მამის განგებით მოხდა, რომ ის მამის ნების აღმსრულებელია: ის წყალს ღვინოდ აქცევს და ამის შემდეგ აგრძელებს სასწაულებს...

წყალკურთხევა (დიდი აიაზმას წესით წყლის კურთხევა) დედაეკლესიამ ნათლისღების მწუხრზე დააწესა... ამ დროს უბრალო წყალი მღვდლის ლოცვით განიწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს.

ნათლობის გარეშე ცხონება შეუძლებელია... როგორც თვითონ მაცხოვარმა ბრძანა: „უკუეთუ ვინმე არა იშვას წყლისგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესვლა სასუფეველსა ღმრთისასა“.

გიული ლიპარტია

◉ აზრების წაკითხვა

ხდება ხოლმე, რომ ტელეფონის აუღებლად ზუსტად ვიცით, ვინ გვირეკავს. ანდა ზუსტად ამოვიცნობთ ხოლმე სხვის აზრს. ნუთუ ეს ყველაფერი — ტელეპათიის გამოვლინებაა?

ტელეპათია, ანუ შესაძლებლობა გადავცეთ აზრები მანძილზე, მაინც არაა აღიარებული ოფიციალურ მეცნიერებად. თუმცა, ექსპერიმენტები ამ მხრივ უკვე ას წელზე მეტია მიმდინარეობს.

არსებობს თუ არა ტელეპათია?

მოტყუების მსხვერპლნი

ტელეპათიის პირველი სერიოზული გამოკვლევები დაიწყო დიდ ბრიტანეთში XIX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც მეცნიერმა ფიზიკოსმა უილიამ ფლეტჩერ ბარეტმა ყოველგვარი აუხსნელი მოვლენების შესწავლისთვის ფსიქოლოგიური კვლევების საზოგადოება დააარსა.

ბარეტის საკვლევი პიროვნებები იყვნენ დები კრირები — ხუთი მოზარდი გოგონა, რომლებიც არწმუნებდნენ მეცნიერებს, რომ თითქოს შეუძლიათ ურთიერთობა ტელეპათიურად. დების უნარის შესამოწმებლად მეცნიერმა და მისმა კოლეგებმა გამოიყენეს სათამაშო კარტები. ერთ-ერთ დას უჩვენებდნენ კარტს, შემდეგ გოგონა უგზავნიდა აზრობრივ სიგნალებს თავის დებს, რომლებსაც უნდა ამოეცნოთ კარტის ფერი და დახასიათება. წარუმატებლობის პროცენტი ლამის ნულის ტოლი იყო. ამ დროს კირკიტა პროფესორმა ბარეტმა დაიანგარიშა, რომ შანსი სწორად ამოეცნოთ, ხუთი კარტი ზედიზედ იყო მინიმალური —ერთი ორმოცდაორ მილიონთან!

მეცნიერები უკვე ზეიმობდნენ გამარჯვებას და დისერტაციების დასაწერად ემზადებოდნენ, როდესაც დებმა აღიარეს, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში აპამპულებდნენ სპეციალისტებს. თურმე, გოგონებმა დაამუშავეს ნიშნების მთელი სისტემა და შეხედვების, თითების კაკუნის, ხველების, მთქნარების მეშვეობით გადასცემდნენ ერთმანეთს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი კარტი იყო მათ წინ.

ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ ბარეტის კოლეგებიც, რომლებიც ნორჩი ტელეპათების წყვილს სწავლობდნენ. ახალგაზრდები ლონდონიდან სმიტი და ბლეკბერნი ექვსი წლის განმავლობაში აბითურებდნენ მეცნიერებს, თავს აჩვენებდნენ, თითქოს შეუძლიათ ერთი-მეორის აზრის წაკითხვა. ეს სიცრუე არც გაიშიფრებოდა, რომ ყმაწვილებს თავად არ ელიარებინათ ყოველივე. ბლეკბერნისა და სმიტის სიტყვებით, მათ მხოლოდ ერთი რამ უნდოდათ — „ეჩვენებინათ ამ მაღალშუბლა სნობებისათვის“, თუ რა ადვილია იმათი მოტყუება, ვისაც მთელი ძალით სურს მონახოს დაუჯერებელი თეორიების დადასტურება. სხვათა შორის, მისტიფიკაციის მზადებისთვის ახალგაზრდებს დასჭირდათ მხოლოდ ერთი კვირა!



ფოტოგრაფია სამახსოვროდ

მოტყუების მრავალმა შემთხვევამ ვერ შეაჩერა მეცნიერები. მცდელობები, ესწავლათ ინფორმაციის გადაცემა წლების მანძილზე გრძელდებოდა, ხოლო მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში აზრის პირველი ფოტოგრაფიებიც კი გაჩნდა.

სენსაცია ფსიქოლოგიის დოქტორმა ჯულ ეიზენბუდმა მოახდინა. მან საზოგადოებას წარუდგინა ჩიკაგოს ერთ-ერთი სასტუმროს პორტიე ტედ სირიოზი. მას ჰქონდა უნიკალური ნიჭი — მოეხდინა თავისი აზრების პროეცირება ფოტოფირზე. კამერას მიაშვერდნენ ტედის სახეზე და აპარატში ჩადებულ სუფთა ფირზე უეცრად ჩნდებოდა შორეული პეიზაჟების, შენობების, ტექსტებისა და ა.შ. ფოტოგრაფიები. ამ დროს აზრების გამოსახულებას ეკავა სურათის მხოლოდ ნაწილი და ყოველთვის ბუნდოვანი იყო. ფოტოგრაფიების დანარჩენი სივრცე, როგორც წესი, სირიოზის სახეს ასახავდა.

იყო განა პორტიე მატყუარა? ამის დადასტურება მაინც ვერ მოხერხდა, თუმცა, სკეპტიკოსები იყვნენ. 1966 წელს მკვლევარ-ფიზიკოსთა ჯგუფმა განაცხადა, რომ მათ შეძლეს მიეღწიათ ისეთივე ეფექტისთვის, როგორც ეს სირიოზმა შეძლო მიკროსკოპული ოპტიკური ხელსაწყოს დახმარებით, რომელიც უნდა მოგეთავსებინა კამერის წინ ფოტოსესიის დროს. თითქოსდა სირიოზი და დოქტორი ეიზენბუდი თავბრუს ახვევდნენ მიმნდობ საზოგადოებას ამგვარი მოწყობილობის საშუალებით. თუმცა, ვერანაირი ხელსაწყო სირიოზთან ვერც ერთხელ ვერ ნახეს. უფრო მეტიც, მისი ფენომენი ასევე შეუცნობელი დარჩა. მაგალითად, ერთ-ერთ ფირზე გამოჩნდა მაღაზიის გამოსახულება, რომლის ფტოგრაფირებაც მანამდე არავის გაუკეთებია, თანაც არა მისი ამჟამინდელი ხედით, არამედ ამ დაწესებულების რემონტამდე. მეორე სურათზე, რომელიც სირიოზის სახლიდან გააკეთეს, გამოჩნდა ანგარი, რომელშიც კანადის სამხედრო საწყობი იყო. თანაც წარწერების ნაწილი შენობაზე გაკეთებული იყო ორთოგრაფიული შეცდომებით. რასაკვირველია, რეალურ საწყობზე ყველა სიტყვა სწორად იყო დაწერილი.

ელექტროდები და კომპიუტერები

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღემდე არ არსებობს ტელეპათიის არც ერთი დადასტურება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია აზრის გადაცემა მანძილზე.

მაგალითად, 2013 წელს მეცნიერებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ასწავლეს ვირთხებს გაცვალონ ერთმანეთში აზრები ტვინში ჩანერგილი ელექტროდების დახმარებით. მღრღნელებს სპეციალური ჩიპებით თავის ქალის ყუთში აიძულებდნენ გადაეწყვიტათ ერთობლივი ამოცანა. რომ გამოერიცხათ ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა სხვა საშუალებებით, მეცნიერებმა ვირთხები სხვადასხვა ქალაქებში განათავსეს. ელექტროდის ელექტრომაგნიტური გამოსხივება ერთი ვირთხის ტვინში ინტერნეტით გადაეცემოდა მეორე მღრღნელს. პირველი ვირთხა წყვეტდა გარკვეულ ამოცანას. თუ მეორე ვირთხა იმეორებდა მის მოქმედებას, პირველი მღრღნელი ღებულობდა გემრიელ სასუსნავს. ჯილდოს მიღების სურვილით, ვირთხა იმეორებდა სწორ მოქმედებას რამდენჯერმე, სანამ მეორე არ ასრულებდა ანალოგიურ მოქმედებას. შემთხვევების 70 პროცენტში მეცნიერებმა დაითვალეს, რომ აზრები წარმატებით იქნა გადაცემული.

აზრების კითხვის კიდევ ერთი ხერხი გაჩნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ შექმნეს კომპიუტერი, რომელსაც გამოსაცდელის თავთან მიერთებული გადამცემების დახმარებით შეუძლია მონიტორზე დაბეჭდილ ანბანში ამოიცნოს საჭირო ასოები და შექმნას მათგან სიტყვები.

◉ ციცხალი ანეკდოტები

— ოოო, რა მაგრად გასუქებულხარ! რამდენი ზედმეტი წონა აგიკრეფია!

— ეგ ზედმეტი კი არა, სათადარიგო წონაა!

* * *

ტიპს ნარკომანი შვილი ჰყავს „კრაკადილზე“ ზის.

— ერთხელ ეს ბიჭი lacoste მაიკას ჩაიცვამს. მამა დაინახავს და:

ამას უყურე, ფორმაც ჩაუცვია, მე ამის.

* * *

— რად გინდათ კაბინეტში აკვარიუმი. — ჰკითხეს წარმატებულ ბიზნესმენს.

— მომენატრა არსება, რომელიც პირს იმიტომ არ აღებს, რომ ფული მთხოვოს.

* * *

პატრულმა გააჩერა ავტომობილი და მძღოლს ეუბნება:

— რატომ მოძრაობთ ღვედის გარეშე?

— მერე? არ გიხარია?

* * *

— თქვენ ქიმიკოსი ბრძანდებით?

არა, ეს ჩემი ცოლის პარფიუმერიის მაგიდაა.

* * *

ოჯახური გასვლა სათევზაოდ:

— ქალო თევზი შეწვი!

— ჯერ ხომ არ დაგიჭერია?

— შენ დაიწყე, თევზი იქნება!

◉ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24